საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი 29 ნოემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული ... უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, ... ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 259 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 259

ივანე და უცე (ელისაბედ) ძიძიშვილები შვილებით, ალათი, დავით და გრიგოლ შარაშენიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. ოზურგეთში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

მარო ნიკოლოზის ასული შარაშენიძე იმნაძისა

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 30 ნოემბერს, ქალაქ ოზურგეთში.

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ელისაბედი, ბებია მართა და ბიძები: ამბროსი, ამბაკო, აკაკი და გიორგი ჯანორიძეები აუწყებენ ნათესავთ, და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაცვალებულის

გიორგი (ჟორჟიკა) სალაყაიას

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება 1 დეკემბერს (ახ. სტ.) სოფ. თეკლათის საყდარში. წირვა დაიწყება 10 საათზე.

მეუღლე პლატონი და შვილები: ალიოშა, თამარა, ლევანი, დოტო და კუკური; დედა—თებრო, ძმებიი: სერგო და კოლია, დები: მინადია და მიფადორა; დები და სიძეები ნანა და ვასილი ავალიშვილები; ოლიმპია და ილიკო ლეჟავები; ცოლის დები და ქვისლები—აგრაფინა და კოლია გურგენიძეები, ანეტა და ილიკო და სიდედრი პაპია მაჭავარიანები; ბიძა და ბიცოლა—ივანე და ეკატერინა საყვარელიძეები თვალცრემლიანი აუწყებენ ნათესავ ნაცნობ-მეგობრებს ორთქლმავალის მემანქანის ძვირფასის და დაუვიწყარის

კარმენ (პავლე) საყვარელიძის

უდროვოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება სოფ. მარტოთუბანში, სადაც გამოასვენებენ ნაშუადღევს 3 საათზე საკუთარ სახლიდგან ხუთშაბათს 28 ნოემბერს (ახალი სტილით).

## მოკავშირეთა პოლიტიკური ხაზი კავკასიაში

ბაქოს გაზეთებში დაბეჭდილია ბაქოში შემოსულ ინგლისის ჯარის უფროსის გენ. ტომსონის მოწოდება და ბრძანება, რომლებიც რამდენათმე ფარდას ხდიან ინგლისელთა პოლიტიკურ განზრახვებს კავკასიაში. ამ მოწოდებებში და ბრძანებებში ერთხელაც არ არის ნახსენები საქართველოს რესპუბლიკა, მაგრამ მთელი ის პოლიტიკური ხაზი, რომელიც მათში გამოხატული, საქართველოს რესპუბლიკასაც ეხება და ამიტომ ჩვენთვის ფალრიესად მნიშვნელოვანია.

გენერ. ტომსონი აცხადებს, რომ ბაქოში შემოსულ ინგლისის ჯარს მიზნათ არა აქვს არც დაპყრობა, არც ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევა, რომ მისი მიზანია „საზოგადოებრივ წესიერების და მშვიდობიანობის დამყარება", რომ იმ ქვეყანაში, სადაც იგი შემოდის, „მოკავშირეთ განზრახვა არა აქვთ თითონ შეინარჩუნონ თუნდაც ერთი ბიჯი რუსეთის ტერიტორიისა"; ინგლისის ჯარის უფროსი გვპირდება, რომ იგი „სრული ად თანასწორათ მოეპყრობა ყველა ერებს და ყველა სარწმუნოებებს".

სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ის პოლიტიკური ხაზი, რომელიც გამოხატულია გენ. ტომსონის განკარგულებებში, თუ ის გატარდა სათანადო პირდაპირობით, უკვე შეიცავს ინგლისის ჯარის ჩარევას კავკასიის შინაურ საქმეებში და უკვე არღვევს იმ „თანასწორათ მოპყრობას", რომელსაც სიტყვით გვპირდება გენ. ტომსონი. მთავარი მიზანი, რომელიც დაუსახავს ბაქოში შემოსულ ინგლისის ჯარს, ამნაირათ არის გამოხატული გენ. ტომსონის ერთს მოწოდებაში:

„ბრწყინვალე გამარჯვების ჟამს ჩვენ არ დავივიწყებთ იმ დიდ დახმარებას, რომელიც რუსის ხალხმა გაუწია მოკავშირეთა საქმეს მსოფლიო ომის პირველ წლებში. მოკავშირეთ არ შეუძლიათ სახლში დაბრუნდენ, სანამ რუსეთში არ აღადგენენ წესიერებას და მას არ შეაძლებინებენ დაიჭიროს თავისი შესაფერი ადგილი ქვეყნის სხვა ერთა რიგში".

ასეთია მთავარი მ ზანი, და როგორც პროკლამაციების ზოგიერთ ადგილებიდან სჩანს, ამ თვალსაზრისით უცქერის გენ. ტომსონი კავკასიის საქმეებსაც. იგი თვალებზე ხელს იფარებს და არ უნდა დაინახოს ის ფაქტი, რომ რუსეთის დანაწილების შემდეგ მის ყოფილ ტერიტორიაზე დაარსდა მრავალი სახელმწიფო, რომ ზოგიერთ ამ სახელმწიფოს დაარსება აშკარა შედეგი იყო მოკავშირეთა დეკლარაციებში ხშირათ აღიარებულ „ერის თვითგამორკვევასა". გენ. ტომსონს არ უნდა დაინახოს ის ცვლილებანი, რომლებიც მოხდა კერძოთ კავკასიის სინამდვილეში რუსეთის რევოლიუციის დასაწყისიდან. მისი პროკლამაციების ტექსტი ამტკიცებს, რომ იგი ჯერ კიდევ „რუსეთის ტერიტორიათ" სთვლის იმ რესპუბლიკების ტერიტორიას, რომლებიც კავკასიაში დაარსდა. „მოკავშირეთა ჯარების გაგზავნის მიზანია დაამყაროს საზოგადოებრივი წესიერება რუსეთის იმ ტერიტორიაზე, რომელიც მოთავსებულია შავსა და კასპიის ზღვებს შუა".

რას ნიშნავს ეს სიტყვები? წარმოად გენს, თუ არა, ეს ჩვენის ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევას? „საზოგადოებრივი წესიერება" საქართველოს რესპუბლიკაში დაცული იყო ისე, როგორც არსად მთელ რუსეთში. ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკა არ საჭიროებს არავითარს დახმარებას ინგლისის ჯარის მხრით. და თუ ინგლისის ჯარმა მაინც მოინდომა ჩვენს საქმეებში ჩარევა, ყოველ შემთხვევაში, ეს ძალათ მაცხონგობა დახმარებათ ვერ ჩაითვლება.

გენ. ტომსონის ერთ მოწოდებიდან სჩანს, რომ მას არც ის მოსწონს, რომ კავკასიაში დაარსებულმა სახელმწიფოებმა რესპუბლიკანური ფორმა აირჩიეს. ეს სახელმწიფოებრივი ფორმა, მისი აზრით, ხელოვნურათ არის შექმნილი გერმანიის და ოსმალეთის ჯარების მიერ: ეს ჯარები „მხარს უჭერდნენ რესპუბლიკანურ მისწრაფებათ და ამით თავიანთ საკუთარ მიზნებს ახორციელებდნენ", ნათქვამია გენ. ტომსონის პროკლამაციაში.

ჩვენი ვალია გადაჭრით გამოვუცხადოთ ინგლისის გენერალს, რომ ჩვენი სახელმწიფოს რესპუბლიკანური ფორმა ჩვენი ხალხის მიერ თავისუფლათ და ერთსულოვნათ არის ამორჩეული, რომ არ არის ძალდატანების ნაყოფი,—პირიქით, თუ კი რაიმე გარეშე გავლენაზე შეიძლება ლაპარაკი ეს გავლენა რესპუბლიკანურ წესის წინააღმდეგ იყო მიმართული და მის სასარგებლოთ. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ მოკავშირეთა სახელმწიფონი, რომ რესპუბლიკა მიგვაჩნია ჩვენ ერთად ერთ მისაღებ სახელმწიფოებრივ ფორმათ და, ვინც მოისურვებს მოგვახვიოს სხვა რამ სახელმწიფოებრივი წესი, იგი ჩაიდენს აშკარა ძალადობას ჩვენი ხალხის მიმართ.

გენერალი ტომსონი უცხადებს კავკასიის ხალხს, „ჩემ მიერ გამოცემული ბრძანებანი რაც შეიძლება ნაკლებ შეავიწროებს მცხოვრებთო". თუ მას სურს საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებლებმა ინგლისის ჯარის მოქმედება არ მიიჩნიონ ძალადობათ, შევიწროვებათ და თავის უფლებების ფეხქვეშ გათელვათ იგი არ უნდა წავიდეს იმის წინააღმდეგ, რაც ერის სურვილს შეადგენს არ უნდა შეეხოს არც იმ დამოუკიდებლობას, რომელიც ერმა აღიარა „თვითგამორკვევის" უფლების ძალით, არც იმ სახელმწიფოებრივ ფორმას, რომელიც ერმა აირჩია თავისუფლად და ერთსულოვნათ.

ყველაფერი ეს მტკიცეთ უნდა ეცნობოს კავკასიაში შემოსულ მოკავშირეთა ჯარებს და მათ მთავრობებს. ეს უნდა ეცნობოს მოკავშირეთა სახელმწიფოების დემოკრატიას, რომელთანაც ჩვენ სულიერათ დაკავშირებულნი ვართ.

## ზავი და იმპერიალიზმი

ომის დასაწყისში სოციალისტების ერთი ნაწილი მხოლოდ გერმანიის იმპერიალისტურ ძლიერებაში ხედავდა მსოფლიო მშვიდობიანობისა და დემოკრატიულ განვითარებისათვის უმთავრეს და უსაშინელეს საფრთხეს. ინგლის საფრანგეთ ამერიკას იმპერიალისტური წრეები, როგორც უფრო სუსტნი, არც კი მიაჩნდათ დიდი წინააღმდეგობის გაწევის ღირსად.

მეორე ნაწილი, რომელიც მაშინ უმცირესობას წარმოადგენდა, მაგრამ შემდეგში ომის მსვლელობის პროცესში თანდათან გაძლიერდა, ამტკიცებდა, რომ იმპერიალიზმი ყველა ქვეყნისა ერთი ბუნებისაა, რომ ომი ორივე კოალიციის მხრივ არის ომი მსოფლიოზე გასაბატონებლად, არის ომი ფალრიესად იმპერიალისტური და გამარჯვებული ვინც დარჩება, თავის იმპერიალისტურ მიზნებს ის დაუწყებს განხორციელებასო.

ზოგიერთნი მოღვაწენი გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ პირდაპირ ამბობდენ, თუ მსოფლიო ბატონობა ერთი რომელიმე იმპერიალიზმისა აუცილებელია, დაე ეს იყოს ინგლისი—ბევრათ უმჯობესიაო,

დღეს ცხოვრებამ უკვე პრაქტიკულ ნიადაგზე გადაიტანა ეს საკითხი, რეალობათ აქცია ერთი კოალიციის დამარცხება და სწორეთ იმათ შეანარჩუნეთ ხელში გამარჯვების დროშა, რომელნიც ყველაზე მეტ დაპირებებს იძლეოდენ ერთა თავისუფლებისათვის, რომელნიც განსაკუთრებულ მიზნათ ისახავდენ უფლების და სამართლიანობის განმტკიცებას მოუხეშავ ფიზიკურ ძალაზე. შეთანხმებას სახელმწიფოთა ოჯახის ლუღლაზე უნდა შემოტანილიყო იდეა სამართლიანობისა და ძმობის. ყველაზე მეტად ამ ომიანობის იდეისა და შეიარაღებულ ძალმომრეობის ტენდენციის წინააღმდეგ ილაშქრებდა ამ ბოლო ხანს ომში ჩაბმული ამერიკის შეერთებული შტატები, თავის პრეზიდენტის ვილსონის პირით, მან წამოაყენა ზავის ისეთი პირობები, რომელნიც სოციალისტურ მოთხოვნილებას ბევრათ უახლოვდება. საყოველთაო იარაღის აყრა, ზღვების თავისუფლება, ეკონომიურ კონცესიების მოსპობა, ერთა ლიგის დაარსება და სხვ.

ერთი სიტყვით მომავალში ისეთ წყობილების შემოღება, რომელიც შეუძლებელს გახდიდა ომის დაწყებას და იმ საშინელების განმეორებას, რაც უკვე განიცადა ევროპამ ამ ოთხ-ნახევარი წლის განმავლობაში.

მაგრამ დაპირება, ვგონებ, დაპირებათვე დარჩეს. დეკლარაცია, რომელსაც ახლა დამარცხებული გერმანია იზიარებს, გამარჯვებულთათვის უკვე მიუღებელია. პირველი თვით ამერიკა ამბობს უარს იმ წესდებზე, რომელიც მან ერთი წლის წინათ წამოაყენა. იგი ეხლა ყველაზე გაფაციცებით ემზადება არა იარაღის დასაყრელად, არამედ ახალ ზადრედნოუტების და სხვა სამხედრო გემების ასაშენებლად. და თუ ასეთია ამერიკის სულის კვეთება, როგორი და იქნება დანარჩენ სახელმწიფოებში?

გაზეთების ცნობები ერთხმად ამტკიცებენ, რომ საფრანგეთი არ ფიქრობს წინასწარ ზავის პირობების სისწორით დაცვას და მხოლოდ შემთხვევას ეძებს, რომ კვლავ საომარი მოქმედება განაახლოს. გერმანია დემოკრატიული, გერმანია უკაიზეროთ, გერმანია რევოლიუციის ალში გახვეული, მას არა ნაკლებ საფრთხედ ეჩვენება, ვინემ ვილჰელმის სასტიკი დისციპლინით აღჭურვილი ჯარები.

ინგლისის შესახებაც მხოლოდ იგივე ითქმის. რომ დაისოს თუნდაც ის ცნობა, რომ ინგლისი კატეგორიულად უკრძალავს თუნდ ერთ გერმანელსაც კი ინგლისის ტერიტორიაზე შესვლას?

მართალია ეს მცირედი ფაქტებია მათი დამახასიათებელი და სწორი მაჩვენებელია იმ ტენდენციების, რომელსაც ატარებს ყველა ქვეყნის იმპერიალიზმი. სოციალისტ-ციმმერვალდელთა აზრი და შეხედულება სავსებით გამართლა ომის შედეგმა.

ზავი მოდის, მაგრამ იმპერიალისტური ზავი, არ არის მშვიდობიანობის მოციქული, არამედ ახალ შეიარაღების, გულში ჩათხრობილი ბოღმის და მტრობის, რომელიც შეიძლება ახლო მომავალში ისევ ომის ალად გადაიქცეს.

იმპერიალისტური ზავი მხოლოდ მონობის, ჩაგვრის, დამორჩილების ზავი იქნება. და მის დროშაზე ეწერება: „ვაი დამარცხებულთ".

დემოკრატიული ლოზუნგები, ომის დასაწყისში წამოყენებულნი გაქრენ მათი ლექსიკონიდან, ვინც ახლა ბატონათ გრძნობს თავს. შეიძლება გერმანიას უფრო უხეში ძალადობაც გამოჩენა, რომ საბოლოოდ გაიმარჯვა.

ამის ნიშნებს იძლევა მათი ბატონობა უკრაინაში, მაგრამ საინტერესოა, რომ უკრაინის შესახებ შეთანხმების სახელმწიფონი აცხადებენ, რომ იგინიც იმავე მიზანს ისახავენ, როგორსაც გერმანული ჯარები. ასე რომ ამ სფეროში უკვე მათ უთანასწორდებიან.

მაშასადამე, იმპერიალიზმი გათანასწორების ხაზს უსვამს ყველგან, სადაც და ვისგანაც უნდა გამომდინარეობდეს. ამიტომ ზავის საკითხი ევროპაში არც თუ სახარბიელო მდგომარეობაშია.

ნამდვილი ხალხური ზავი, ნამდვილი მშვიდობიანობის მომცემი და არა მოჩვენებითი ზავი ბატონის და ყმის—იმპერიალისტების ხელით არ ჯაიმქნება ევროპის დალარულ სხეულზე.

ახლა სახალხო ზავი სურს გერმანიის, რუსეთის და სხვა რევოლიუციურ ქვეყნების დემოკრატიას და არა სურთ სხვა ქვეყნის იმპერიალისტებს. დ მხოლოდ ამ დემოკრატიის იდეების გაძლიერება მსოფლიოში, მხოლოდ რევოლიუციური მოძრაობის გადატყორცნა ახალ ქვეყნებში, მოამზადებს ნიადაგს ისეთ ზავისთვის, რომელიც მართლა უზრუნველჰყოფს ევროპისა და ძველი კაცობრიობის მომავალ განვითარებას და წარმატებას.

## ვიქტორ ადლერი

(ნეკროლოგი).

ოდესის გაზეთებში სამწუხარო ამბავია დაბეჭდილი: გარდაიცვალა ავსტრიის სოც.-დემოკრატიულ პარტიის ბელადი ვიქტორ ადლერი, რომელიც 40 წლის განმავლობაში სათავეში ედგა ავსტრია-უნგრეთის მუშათა მოძრაობას. იგი თავდაპირველად ხელმძღვანელობდა მუშათა პროფესიონალურ ცხოვრებას, მისი ხელმძღვანელობით გაიარა ავსტრიის პროლეტარიატმა მთელი მანძილი პროფესიონალური ბრძოლიდან პოლიტიკურ ბრძოლამდე და თავის საკუთარ პოლიტიკურ პარტიის დაარსებამდე. ამ პარტიის პოლიტიკური ზრდა მის თვალწინ მოხდა. იგი უჩვენებდა პარტიას სწორე გზას იმ რთულ პოლიტიკურ პირობებში, რომელშიაც მას უხდებოდა მუშაობა.

რეაქციონურ ავსტრიის სახელმწიფოს ადლერი დაუნდობლად ებრძოდა, როგორც ჭეშმარიტი რევოლიუციონერი და მისი ხელმძღვანელობით ავსტრიის პროლეტარიატმა შესძლო თვალსაჩინო დემოკრატიული ცვლილებების შეტანა ავსტრიის პოლიტიკურ წყობილებაში, ცენზიური და კლერიკალური სახელმწიფო გადაიქცა საყოველთაო არჩევნების სისტემაზე დამყარებულ სახელმწიფოთ. ეროვნულათ აჭრელებული ავსტრიის ერთა განუწყვეტელ ბრძოლაში ადლერი მუდამ გამოდიოდა ერთა სოლიდარობის და ერთა მორიგების მქადაგებლათ და ინტერნაციონალის იდეალების მატარებლათ. და თუ ერთა ბრძოლა ავსტრიაში რამდენიმეთ მაინც კულტურულ ფორმებს ღებულობდა, ეს უნდა მიეწეროს ავსტრიის სოციალდემოკრატიას და მის ხელმძღვანელს.

საქვეყნო ომის დროსაც ადლერი არ გაუტაცნია იმ შოვინისტურ ბურუსს, რომელმაც ბევრს სოციალისტსაც კი დაუბნელა გონება. თუმცა ომის დასაწყისში იგი სასურველათ სთვლიდა ცენტრალურ სახელმწიფოთა გამარჯვებას, მაგრამ ომს იგი ისე უცქეროდა, როგორც თავდაცვის საშუალებას. და როგორც კი რუსეთში იარაღი დაყარა, მან მაშინვე ხმა აიმაღლა რუსეთის ფრონტზე საომარ მოქმედების განგრძობის წინააღმდეგ.

ადლერი გარდაიცვალ სწორეთ იმ დროს, როდესაც ავსტრიაში იფეთქა რევოლიუციამ, რომელმაც ძირს დასცა როგორც მეფობა, ისე მილიტარიზმი. ამ რევოლიუციამ ამ სახელმწიფოს სათავეში დააყენა პროლეტარიატის ბელადი, რომელიც ყველაზე შეურიგებლად ებრძოდა, როგორც მეფობას, ისე მილიტარიზმს.

მოხუცებულმა ვიქტორ ადლერმა თავის პოსტზე დალია სული იმ დროს, როდესაც მას პირველად აღეძრა იმედი სოციალიზმის განხორციელებისა. მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მან სოციალიზმისთვის ბრძოლას, მისთვის განიცადა მან ყოველივე სიმწარე, და გარდაიცვალა ისე, რომ მისი სიტკბოება კი არ უგრძვნია, მხოლოდ მისი განთიადი დაინახა.

## პრესა

„თფილისის ლისტოკი" განახლებული რედაქციით გამოდის. მასში ვხედავთ იმ მოღვაწეებს, რომელნიც რევოლიუციის პირველ ხანებში „რესპუბლიკას" სთესდენ და უკიდურეს დემოკრატობას ჩემობდენ. მაგრამ, რა რიგ გახუნებულა მათი დემოკრატიული სამოსელი.

აი მაგალითად მეთაური წერილი № 2582-ში, დიდის რიხით მოგვითხრობს, რომ გერმანული ორიენტაცია კავკასიის სახელმწიფოებში (იგულისხმება საქართველო, მაგრამ ხსენება მის ალბათ არ სურთ) იყო თურმე გამოწვეული არა ოსმალეთის საფრთხით, არამედ რუსეთის შიშით, რომ ეს იყო აქტი რუსეთისადმი მძულვარების გამომხატველი და ახლა, როცა ინგლისი უახლოვდება ჩვენს საზღვრებს, უნდა ალბათ პასუხი აგონ ამ ბოროტ-გრძნობებისთვის ინგლისელების წინაშე. საერთოთ ამ წერილზე ჩვენ შემდეგ ვილაპარაკებთ, როცა მისი ავტორი სავსებით დაათავებს თავის აზრს, აქ კი ვიტყვით მხოლოდ, რომ უცხო ძალაზე დაყრდნობა თუ შეფერის პატარა ერს, ეს არ არის საქები და სახარბიელო ისეთი დიდი ერთეულისათვის, როგორსაც რუსეთი წარმოადგენს. და თუ არა თავის ხელმოკლე გულ-ღვარძლიანობით. ასეთი ჩასმენა, არაფრით არ შეიძლება იყოს გამოწვეული.

დემოკრატიზმს ყოველ შემთხვევაში ასეთ ჩასმენაში ადგილი არა აქვს.

ბ. შირსკი იმავე გაზეთში ამ დემოკრატიზმზე უფრო აშკარათ იღებს ხელს. ის სწერს, რომ საჭიროა შეერთება ყველა ფრონტებისა ბალშევიზმის წინააღმდეგ. და ამისთვის ერთგვარი კომპრომისის შემუშავება:

„ჩვენ უნდა ვეცადოთ, რამდენადაც ეს ჩვენზეა დამოკიდებული, რომ კომპრომისში უმეტესი გავლენა მოიპოვოს იმ მიმდინარეობამ, რომელსაც წარმოადგენს რუსეთის დემოკრატია. მაგრამ თუ უკანასკნელი ვერ შესძლებს შეინარჩუნოს მთელი თავის სიწმინდით თავისი დემოკრატიული პოზიცია, მაშინაც კი თვით ფაქტი ერთიან ანტიბალშევიკურ ფრონტის შექმნის მილოცვის ღირსია ყოველ პირობებში (ხაზი ჩვენია). რუსეთის აღდგენა თავისთავათ უდიდესი სიკეთეა,—სულ ერთია, იქნება ის ფართე დემოკრატიული ქვეყანა, თუ მომავალში უფრო „მემარჯვენე" გზას დაადგება".

ბ. შირსკის უნდა ვუმადლოდეთ ამ გულახდილობისათვის. ოღონდ აღდგეს რუსეთი და ის დედა იქნება თუ დედინაცვალი მის შემადგენელ ნაწილებისათვის—ეს მას მაინცა მაინც არ აწუხებს. ლაე სხვები გაისრისონ, სხვები დარჩენ პირში ჩალა გამოვლებული, ოღონდ იყოს დიდი რუსეთი და მასში ბ. შირსკი. მაგრამ ალბათ ეს პოლიტიკოსი არ ფიქრობს იმას, რომ ანტიდემოკრატიული რუსეთი, რუ ეთი მონობის აღმდგენი და შემავიწროებელი ვერ მიიზიდავს ვერავის თანაგრძნობას და შეიძლება მხოლოდ თოფისა და ზარბაზნის მუდმივ ზუზუნზე იქნეს დამყარებული. აძლევს თუ არა ამას ანგარიშს ბ. შირსკი? რასაკვირველია, არა. მაგრამ ჩვენ, მისი ახლო მეზობლები კი დიდ ყურადღებას ვაქცევთ. მონობას იმიტომ კი არ გავექეცით, რომ ხელახლა გავყოთ მის უღელში თავი!.. ეს უნდა კარგათ იცოდენ ბ. შირსკებმადა ძმათა მისთა!

## მერვე ყრილობა

ს.-დ. მ. პარტიის წარმომადგენელთა.

18 ნოემბერს ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა რეზოლიუციები და დაიხურა კ. ჩხეიძის სიტყვით, რომელმაც აღნიშნა რა ს.-დ. პარტიის სამ ნაწილად დაყოფა გამოსთქვა იმედი, რომ ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკების სოციალ-დემოკრატიული პარტიები არ დაჰკარგავენ იდეურ კავშირს ხელიხელ ჩაკიდებული იბრძოლებენ მუშათა კლასის ბრწყინვალე იდეალების განსახორციელებლად. (ძლიერი და ხანგრძლივი ტაში).

**დამფუძნებელი ყრილობა.**

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენელთა. 19 ნოემბერს გაიხსნა საქართველოს სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიის დამფუძნებელი ყრილობა.

ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნ. ს. ჩხეიძე, მის ამხანაგებად ალ. ლომთათიძე და დავ. ონიაშვილი, მდივნებად: გრ. ურატაძე, ი. ქავჟარაძე და ა. ცისკარიძე. საპატიო თავმჯდომარეებად ერთხმად იქნენ ამორჩეული: ნ. ჟორდანია, ირ. წერეთელი, ს. ჯიბლაძე და ნ. რამიშვილი.

ყრილობამ უკამათოდ დაადგინა წინა ყრილობაზე მიღებული რეზოლიუციები და დადგენილებანი სავალდებულო იყვეს მისთვის, რის შემდეგაც დაიწყო ცენტრალური კომიტეტის და საკონტროლო კომისიის არჩევნები.

ცენტრალურ კომიტეტში არჩეულ იქნენ შემდეგი პირნი: ნ. ჟორდანია, ნ. ჩხეიძე, ირ. წერეთელი, რ. არსენიძე, ს. ჯიბლაძე, ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი, ა. ლომთათიძე, ვ. ჯუღელი, ა. სალუქვაძე, ე. გეგეჭკორი, ვ. ჯიბლაძე, ა. ფირცხალავა, გ. ახმეტელაშვილი, ა. დგებუაძე, ვ. წულაძე, შარიფოვი, მ. სკობელევი, ერზინკიანი, მიკირტუმოვი, ვარდოიანი. მათ კანდიდატებათ ხომერიკი ლავა, დ. ონიაშვილი, ქ. გვარჯალაძე, ი. ბადრიძე, გ. ცინცაბაძე, გ. მახარაძე, ს. თევზაძე.

საკონტროლო კომისიაში: ის. რამიშვილი, ქ. ანდრონიკაშვილი, ივ. ლობაძე, ზ. გურული, ნ. ქუმბურიძე, რ. ჩიხლაძე, ი. სალაყაია, გრ. კობლატაძე, ლ. კალუჩაძე, ნოდია, ქ. ნინიძე. მათ კანდიდატებათ: ა. ქააბრიშვილი; ვ. მგელაძე, ს. მაისურაძე, გ. ბახტაძე.

**რეზოლიუციები**

ამიერ-კავკასიის სოც. დემ. მუშათა პარტიის მე-8 ყრილობის მიერ მიღებული.

1) ამიერ-კავკ. სოც.-დემ. მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტის მოქმედებაზე:

მოისმინა რა მოხსენება საოლქო კომიტეტისა, ყრილობა აღნიშნავს, რომ საანგარიშო წელს საოლქო კომიტეტს გარეშე მტრების შემოსევისა და შინაგან ანარქისტულ გამოსვლების მუდმივ საფრთხის გამო მძიმე პირობებში მოუხდა მუშაობა.

ყრილობა აღიარებს, რომ საოლქო კომიტეტმა შესძლო ერთად-ერთი სწორი გზის გამონახვა ამ მძიმე მდგომარეობაში რევოლიუციონური დემოკრატიის ინტერესების დასაცავად და რევოლიუციის მონაპოვართა განსამტკიცებლად, ამიტომ სავსებით იწონებს მის პოლიტიკას და გადადის მორიგ კითხვებზე.

2) ამხანაგ მინისტრების საქართველოს რესპ. მთავრობაში მოქმედებაზე:

მოისმინა რა მოხსენება ამხ. მინისტრებისა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის სხვადასხვა სფეროში მოქმედების შესახებ,—ყრილობა სავსებით მოსაწონათ სთვლის ამხანაგების მუშაობას, რომლითაც ისინი სისტემატიურათ ახორციელებდნენ სოც. დემ. პარტიის მისწრაფებას რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცებისა და საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ აღმაშენებლობისადმი, და გადადის მორიგ საკითხზე.

3) პარლამენტის მოღვაწეობაზე.

მოისმინა რა ამხ. ქ. ს. ჩხეიძის მოხსენება პარლამენტზე, ყრილობამ დაადგინა: დაევალოს ადგილობრივ ორგანიზაციებს აწარმოვონ ენერგიული აგიტაცია ხალხის ფართო მასაში პარლამენტის მნიშვნელობის განსამარტავად, როგორც უმაღლეს კანონმდებელ ორგანო-

სი, რომელსაც შეუძლია დემოკრატიის განმტკიცება და პროლეტარიატის სრული გამარჯვების შესაფერ პირობების შექმნისათვის ხელის შეწყობა.

4) ფრაქციის მოღვაწეობაზე.

მოისმინა რა მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის სოც. დემოკ. ფრაქციისა, ყრილობა მთლიანად იწონებს ფრაქციის მოღვაწეობას და გადადის მორიგ კითხვაზე.

5) მუშათა კითხვაზე.

ა) დასავლეთ ევროპის დიდი რევოლიუცია დღიურ წესრიგში აყენებს საერთაშორისო პროლეტარიატის მიერ პოლიტიკურ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების საჭიროებას, რათა მძლავრი ლახვარი ჩასცეს მსოფლიო იმპერიალიზმსა, მილიტარიზმსა და კაპიტალიზმს.

მსოფლიო მასშტაბით დაწყებული დიდი რევოლიუციური მოძრაობა აყენებს ჩვენი პროლეტარიატის წინაშე უდიდეს პრობლემებს, რაიც იძულებულს ხდის ყრილობას ამხანაგების განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პროლეტარიატის კლასიურ ორგანიზაციების გაძლიერებას და გაფართოებაზე მუშათა მოძრაობის ყველა სფეროში.

ბ) ყრილობა დარწმუნებულია, რომ წინასწარ ეკონომიურ პირობებს საწარმოვო საშუალებათა განსაზოგადოებრივებისათვის შექმნის მხოლოდ გაძლიერება შრომის ნაყოფიერებისა, რომელიც დიდათ დასცა ომმა, რომელმაც წარმოების ყველა სფერო დაიმორჩილა, და (ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ) ბოლშევიკების ექსპერიმენტებმა წარმოების სრული განადგურების გამო.

ყრილობა ავალებს ადგილობრივ ორგანიზაციებს მიიღონ მუშაობის ნაყოფიერების ასაწევათ ყველა მათზე დამოკიდებული ზომები წარმოების ხასიათისა და ადგილობრივ პირობების მიხედვით.

გ) ყრილობა აღნიშნავს, რომ მიუხედავათ ხელფასის ნომინალურათ გადიდებისა, ნამდვილი შრომის ფასი თანდათან ეცემა ცხოვრების გასაოცარ გაძვირების გამო, რომელიც კატასტროფიულ ხასიათს იღებს.

ყრილობა დარწმუნებულია, რომ მსოფლიო ომის დასასრულის მოახლოვებასთან ერთად შეიქმნება საჭირო პირობები მუშათა კლასის მდგომარეობის რეალურ გაუმჯობესებისათვის; ყრილობა დარწმუნებულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ყოველგვარ ზომებს მიიღებს მუშათა კლასის მოთხოვნილებათა პირველ რიგში დასაკმაყოფილებლად.

დ) აღნიშნავს რა შრომის სამინისტროსა და კანონმდებელ ორგანოს მრავალ მხრივ მოღვაწეობას მუშათა კლასის ეკონომიურ და უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საქმეში, ყრილობას აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია მუშათა კანონმდებლობის შემდგომ განვითარებისათვის პირველ რიგში გამოცემულ იქნეს კანონი მუშათა დაზღვევისა, უმუშევრობისა და ინვალიდების გამო და მოწყობილ იქნეს ფართო მასშტაბით საზოგადოებრივი სამუშაოები.

ე) ყრილობა აღნიშნავს, რომ მუშაობის შეჩერება სახელმწიფოებრივ წარმოებაში დემოკრატიულ ამშენებლობის პროცესის ხანაში იწვევს მხოლოდ ანარქიის გაძლიერებას ჩვენში და სრულს დეზორგანიზაციას ქმნის დემოკრატიაში.

ამიტომ ყრილობა გადაჭრით აღდგია იმას, რომ შრომისა და დემოკრატიულ სახელმწიფოს წარმომადგენელთა შუა ყველა საკონფლიქტო კითხვები მომრიგებელ კამერებში და სავალდებულო საარბიტრო სასამართლოებში გადაჭრას.

6) რესპუბლიკის ფინანსებზე.

მოისმინა რა მოხსენება ფინანსიური მეურნეობის შესახებ, ყრილობა აღიარებს, რომ ფინანსიურ კრიზისის გამწვავება აიხსნება ომით გამოწვეულ ეკონომიურ მდგომარეობის არევ-დარევით.

კერძოთ საქართველოს რესპუბლიკა იძულებული იყო დიდძალი თანხა გაეღო კავკასიის ფრონტის სალიკვიდაციო ხარჯების დასაფარავათ, რის გამო რესპუბლიკის ფინანსიური მდგომარეობა კიდევ შეირყა.

ყრილობა აღნიშნავს, რომ დემოკრატიის ფართო მასაში ჯერ კიდევ საკმაოთ ვერ მოიკიდა ფეხი იმ აზრმა, რომ თვით ხალხია მოვალე დაფაროს რესპუბლიკის ყველა ხარჯები, რაც საჭიროა ყველა ქვეყნის კულტურული განვითარების ხელსაწყობათ.

აღნიშნავს აგრეთვე, რომ რესპუბლიკის მთავრობასა და პარლამენტის მიერ მიღებული იყო ზომები და ღონისძიებანი ფინანსიური მეურნეობის მოსაგვარებლათ.

ყრილობა ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს ენერგიული კამპანია აწარმოონ და აუხსნან დემოკრატიის ფართო წრეებს გადასახადთა წესიერი გადახდის მნიშვნელობა რესპუბლიკის განმტკიცებისა და დემოკრატიის გამარჯვების საქმეში.

ყრილობა აღნიშნავს, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩვენი ფინანსიური მდგომარეობისათვის მტკიცე საფუძვე-ლის შექმნა, რაც მთავრობასა და პარლამენტს გზას გაუხსნის ახალ გადასახადთა სისტემის დემოკრატიის ინტერესებისდა მიხედვით შემუშავებისათვის.

დასასრულ ყრილობა საჭიროთ სთვლის დაჩქარებით შემოღებულ იქმნას პროგრესიული გადასახადი შემოსავალსა და ქონებაზე.

(დანარჩენი შემდეგ ნომერში).

# ეკონომიური საკითხები

I

ჩვენი ქვეყანა განუვითარებელ სოფლის წვრილ და საშუალო მეურნეობის, სოფლის მუშათა ქვეყანას წარმოადგენს.

ჩვენი დამოუკიდებლობა და დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცება საბოლოოთ დამოკიდებულია სოფლის წვრილ და საშუალო მეურნეთა კლასზე, რომელიც წარმოადგენს იმ მთავარ ბურჯს, რომელზედაც უმთავრესად ამ ჟამათ დაყრდნობილია თავისუფალი საქართველო.

მაგრამ რევოლიუციამ თავის პროცესში სწრაფათ ამოძრავა და სიმდიდრის მოსახვეჭათ ხარბათ აამოქმედა ის ელემენტებიც, რომლებიც ამ ჟამათ პირვანდელს კაპიტალს აგროვებენ; ამ გზით სწრაფათ იზრდება ის კლასი, რომელიც პირდაპირი მემკვიდრეა საბოლოოთ დამსხვრეული ფეოდალიზმისა. ჩვენ თვალწინ სწარმოებს ინტენსიური ეკონომიური პროცესი, რომელიც საძირკვლათ ეყრება დამოუკიდებელ საქართველოს ეკონომიკას.

ამიტომაც სახელმწიფოებრივი ამშენებლობითი საქმიანობის დროს ჩვენი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს საქართველოს ახლო წარსულის და აწმყოს ეკონომიურათ შესწავლა.

რევოლიუციამ ჩვენს ქვეყანას უმთავრესათ ორი უძვირესი სიკეთე, ორი ერთი მეორესთან მჭიდროთ დაკავშირებული მონაპოვარი მიანიჭა: მიწა და თავისუფლება, რომელიც ძირითად პრინციპიათ და საფუძვლათ დაედო განახლებულს და აღორძინებულ საქართველოს.

რევოლიუციამ დაამსხვრია ჩვენი ეკონომიურ-პოლიტიკური ბორკილები და განახლებული, ფართო და თავისუფალი კალაპოტით დაღარა ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

რადგანაც რევოლიუციონური სინამდვილე და აწმყო ეკონომიური მდგომარეობა წარსულიდან გამომდინარეობს, რადგანაც წარსულის წიაღში ჩაისახნენ და განვითარდნენ ის ეკონომიურ პოლიტიკური ფაქტორები და ის რევოლიუციონური ძალები, რომლებმაც დიდი რევოლიუცია წარმოშვეს,—ამისათვის ზედმეტი არ იქნება აწმყოს შესასწავლად და უკეთესათ გასათვალისწინებლათ ახლო წარსული ეკონომიურ-პოლიტიკური სინამდვილე მოკლეთ მაინც გავიხსენოთ.

II

დიდ რევოლიუციამდე სოფლათ ნახევრათ ნატურალური მეურნეობა იყო გაბატონებული; გლეხობა, როგორც ეკონომიურათაც და პოლიტიკურათაც დამონებული წოდება, მებატონეთა სასარგებლოთ ღალას, კულუხს და სხვა მრავალ გადასახადებს იხდიდა; გლეხი ნატურითვე, პურით და სხვა ხორბლეულობით ისტუმრებდა სამღვდელოებას, რომელიც მებატონეთა მსგავსათ იყო გაბატონებული თვითმყრომელობისაგან.

ასეთი მეურნეობა ფეოდალურ ნაშთებთან ერთათ სოფლათ აფერხებდა ფულის მეურნეობის და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას; ნახევრათ ნატურალური მეურნეობა და ბატონყმური ურთიერთობანი კაპიტალისტური წეს წყობილების განვითარებას სოფლის კარს უხშობდენ და უკეტავდენ.

ნამა პაპითგანვე უზრუნველ ცხოვრებას დაჩვეული თავად-აზნაურობა არა ზრუნავდა და არც შეეძლო ეზრუნა,—თითო-ოროლას გამონაკლისით რასაკვირველია,—მეურნეობის აყვავებისათვის და მიწის კულტურულათ დამუშავებისათვის, არ შეეძლო ეფიქრა სამეურნეო იარაღების გაუმჯობესობაზე იმისათვის, რომ ის ამით სრულიათაც არ იყო დაინტერესებული, რადგანაც მიწას პირდაპირ ის არ ამუშავებდა; სამეურნეო იარაღები გლეხობის ხელში იყო, რომელიც მას ღალას სახლში მზამზარეულათ უზიდავდა. ბევრ შემთხვევაში მემამულე თავად-აზნაურობამ არც კი იცოდა, სად იყო მისი მიწები და ან რა ღირსებისა იყო მათი ნიადაგი. ის მხოლოდ დამონავებულ გლეხს შესცქეროდა ხელში და მათრახით იმდენს ტყავს აძრობდა, რამდენის მას ესაჭიროებოდა.

ამიტომაც იყო, რომ წარსული ცხოვრებისაგან გალაღებული თავად აზნაურობა ნახევრათ ბურჟუაზიულ ცხოვრებაში ვერ ახერხებს დაზოგვით ეკონომიურ ცხოვრებას, ფული მალი-მალ აკლდება და რადგანაც ცხრა პირ ტყავ აძვრალ გლეხს მეათეს ვეღარ აძრობს, იძულებული ხდება მამულიშვილურათ მამული აგიროს და ფლანგოს.

ამნაირათ მე XIX საუკუნის მეორე ნახევარში თავად აზნაურობამ გაჰყიდა ნახევარი საქართველო;

მეორე მხრივ არც გლეხები იყვნენ დაინტერესებულნი სოფლის მეურნეობის აყვავებაში და სამეურნეო იარაღების გაუმჯობესებაში.

მიწა თავადისა იყო და გლეხი სხვის მიწას არც აპოხიერებდა და მით უმეტეს გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღებით არც მის კულტურულათ დამუშავებას ცდილობდა;

გლეხი არც სამეურნეო მანქანების ყიდვაზე ფიქრობდა და დღენიადაგ მთელი თავისი გულითა და სულით მხოლოდ იმა პაპურ გუთანს ჩასჩიჩინებოდა იმისათვის, რომ სხვის მიწებში საუშამო მანქანების ყიდვა სამართლიანათ სახათაბალო და საზარალო საქმეთ მიაჩნდა;

გარდა ამისა სიღატაკე ყველანაირათ უშლიდა ხელს იმ მანქანების შეძენათ, რომლების მოხმარებაც სიბნელისა გამო მას არ ეხერხებოდა.

ასეთი იყვნენ ფეოდალური ნაშთებისა გამო ის ეკონომიური პირობები, რომლებიც გლეხსაც და თავადსაც აიძულებდნენ წლითი წლობით, სისტემატიურათ მხოლოდ მტაცებლური და მძარცველი მეურნეობა ეწარმოებინათ; ასეთი არარაციონალური მეურნეობა მიწას სინოყივრეს აცლიდა, მის სიმდიდრეს უდიერათ სწოვდა და მით ნაყოფიერებას თანდათანობით ასუსტებდა.

ასე იყო სოფლათ; ახლა გადავხედოთ ქალაქს.

ი. ირემაშვილი.

# მუშათა წერილები

ერთი კანონპროექტის გამო.

ამ დღეებში საქართველოს პარლამენტმა მეტათ დიდმნიშვნელოვანი კანონპროექტი განიხილა და დაამტკიცა. მე მოგახსენებთ სადმთო სჯულის სწავლების გაუქმებაზე.

ჩვენ იმ თავიდანვე ვიცოდით, რომ ამის წინააღმდეგ როგორც ყველგან, ისე ჩვენშიაც გაილაშქრებდნენ გაბატონებული კლასების წარმომადგენლები, რადგან მათთვის სარწმუნოება ის ბასრი იარაღია, რომლის საშუალებით ადვილათ ახერხებენ დაბეჩავებული ხალხის დამონავებას. ამის საუცხოვო მაგალითს გვაძლევს საფრანგეთის დიდი რევოლიუცია, როდესაც სამღვდელოება კარდაკარ დაიარებოდა და ხალხს რევოლიუციისა და დემოკრატიული წყობილების საწინააღმდეგოთ მოუწოდებდა, იმ წყობილების, რომელმაც თავად-აზნაურობასა და სამღვდელოებას საეკლესიო მამულების სახით აყარებული მიწები ჩამოართვა და ხალხს გადასცა.

განა მარტო საფრანგეთის რევოლიუცია გვაძლევს ამის მაგალითს? აიღეთ თუ გინდათ რუსეთის რევოლიუცია და ბეგების და მოლების „მოღვაწეობა" ჩვენს სამაჰმადიანო საქართველოში. როდესაც ბეგებმა დაინახეს, რომ რუსეთის რევოლიუციის საშუალებით, მათ ბატონობას ბოლო ეღებოდა, შეუდგნენ ხალხში ქადაგებას სარწმუნოებრივ ნიადაგზე, ვითომ რუსეთის რევოლიუცია მათ სარწმუნოებას ართმევდა. დაბეჩავებული ხალხი აჰყვა ამ პროვოკაციას და ბეგებმაც მშვენივრათ შესძლეს თავის ბატონობის შენარჩუნება.

ვიმეორებთ სარწმუნოება ფეოდალურ და ბურჟუაზიულ ხანაში გაბატონებულ კლასებისათვის, მუდამ საუკეთესო საშუალება იყო მათი ბატონობის გახანგრძლივებისათვის.

სარწმუნოებრივ ნიადაგზე სოციალისტებსა და ბურჟუაზიულ კლასებს შორის მუდმივი ბრძოლა არსებობდა და ზოგიერთ განათლებულ ქვეყნებში, როგორიც არის, მაგალითად ევროპა და ამერიკა სოციალისტებმა უკვე თავის მიზანს მიაღწიეს.

სოციალისტებს სარწმუნოება მუდამ კერძო საქმეთ მიაჩნდათ და ენერგიულათ მოითხოვდნენ სინდისის თავისუფლებას. ყველა სოციალისტურ პარტიებს თავიანთ პროგრამებში აქვთ ისეთი მუხლი შეტანილი, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოდან ეკლესიის ჩამოშორებას და მის კერძო დაწესებულებათ გამოცხადებას. თუმცა ასეთი მუხლი ბურჟუაზიულ კლასებსაც აქვთ თავიანთ პროგრამებში, მაგრამ, ეს მხოლოდ ხალხის თვალის ასახვევი მასალაა და მეტი არაფერი. ნამდვილი დამცველი ხსენებული მუხლისა არის სოციალისტური პარტიები. და ეს ნათლად დამტკიცდა საქართველოს პარლამენტში, როდესაც სადმთო სჯულის სწავლების გაუქმების კანონპროექტი ირჩეოდა. ამ კანონპროექტის წინააღმდეგ სასტიკათ გაილაშქრეს ნაციონალ-დემოკ. ორივე ფრთამ. გაკოტრებულ ფეოდალებისა და ბურჟუაზიის იდეოლოგებმა საკითხს გვერდი აუხვიეს და კამათი სულ სხვა სფეროში გადაიტანეს. მათ მოროდეს განგაში, რომ ვითომც სადმთო სჯულის სკოლებში სავალდებულო სწავლების გაუქმებით, ჩვენ ვართმევდეთ ხალხს სარწმუნოებას, ნამდვილათ კი კანონ პროექტი ანთავისუფლებს საქართველოს სახელმწიფოს ღარიბ ხაზინას იმ ზედმეტ ხარჯებისაგან, რომელიც დღემდე სადმთო სჯულის სწავლებისათვის იხარჯებოდა და ეს ხარჯები კი მძიმე ტვირთად აწვა თავს საქართველოს მთელ დემოკრატიას, მიუხედავათ იმისა, სურდა თუ არა მას თავიანთი შვილებისათვის სადმთო სჯული ესწავლებინა, რაიც დღევანდელ პირობებში ყოვლად გამოუსადეგარი საგანია ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

თუ რამდენათ უსაფუძვლოა მათი განგაში სარწმუნოების შეზღუდვის შესახებ, ამის საუკეთესო მაგალითს გვაძლევს კანონ პროექტის მეოთხე მუხლი, რომელიც ამბობს: „თუ მშობლები მოისურვებენ თავიანთ შვილებს კერძო ხარჯით ასწავლონ სადმთო სჯული, მათ უფლება ეძლევათ ისარგებლონ სკოლის შენობით თავისუფალ დროს".

მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ ჩვენ სარწმუნოებას და სადმთო სჯულის სწავლებას კი არ ვუკრძალავთ ხალხს, არამედ მათ ვაცხადებთ კერძო საქმეთ და ვაცლით სავალდებულო ხასიათს. ამით ჩვენ ერთის მხრით ვანთავისუფლებთ სახელმწიფო ხაზინას ზედმეტ ხარჯებისაგან, და მეორეს მხრით ვაკმაყოფილებთ იმ მოქალაქეების ნება სურვილს, რომელთაც არ სურდათ თავიანთ შვილებისათვის სადმთო სჯული ესწავლებინათ.

ასეთია კანონ პროექტის ერთი მხარე, რომელმაც ძალა დააფრთხო ჩვენ ნაციონალ-დემოკრატებს.

კომისიის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტში იყო ერთი მუხლი, რომელიც პარლამენტმა არ მიიღო და ამოშალა. ხსენებული მუხლი შეეხებოდა სამაჰმადიანო სასწავლებლებში შარიატის სავალდებულო საგნათ დატოვებას. განათლების კომისიაც პრინციპიალურათ ამ მუხლის წინააღმდეგი იყო, მაგრამ მის დატოვებას დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის გამო საჭიროთ აღიარებდნენ. ჩვენის აზრით პარლამენტმა სწორი გზა აირჩია, როდესაც ეს მუხლი ამოშალა. კანონ პროექტის იმ სახით მიღება, რა სახითაც ის კომისიამ წარმოადგინა, მოგვაგონებდა ნიკოლოზიის ბიუროკრატიულ მთავრობის მიერ გამოცემულ კანონპროექტებს, რომელიც ერთს სახელმწიფოში სხვადასხვა გვარათ მოქმედებდა. დემოკრატიული პარლამენტი ასეთ კანონებს ვერ გამოსცემს. საქართველოს რესპუბლიკაში ყველა ერები თანასწორი უფლებებით სარგებლობენ და შეუძლებელია ისეთი კომპრომისის დაშვება, რომელიც რაიმე პრივილეგიას ანიჭებდეს საქართველოში მცხოვრებ რომელიმე ეროვნებას. როგორც ქრისტიანებს უფლება აქვთ თავიანთ შვილებს თავისი ხარჯით ასწავლონ სადმთოსჯული, ისე მაჰმადიანებს სრული უფლება აქვს კერძო ხარჯით მათ შვილებს ასწავლონ შარიატი, ისლამი და სხვ, რაც შეეხება შარიატის სავალდებულოთ დატოვებას, ეს იქნებოდა ერთი ერისთვის პრივილეგიების მინიჭება, მეორე ერის ხარჯზე, რაიც ჩვენს რესპუბლიკაში დაუშვებელია.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ქვეყნის მტრები და გაბატონებული კლასები ამ ხალხისათვის სასარგებლო კანონ პროექტის მეოხებით დიდი აგიტაციას გააჩაღებენ როგორც საქართველოს რესპუბლიკის, ისე ჩვენი დემოკრატიული მთავრობის და პარლამენტის წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ საქართველოს დემოკრატია ხალხის მოღალატეების განგაშს არ აჰყვება და მათ შესაფერ პასუხს მისცემს. შეგნებული მოქალაქეების ვალია აუხსნან ხალხს ხსენებული კანონის მნიშვნელობა და ხალხის მტრებს საშუალება არ მისცენ თავიანთი ბნელი საქმის გასაკეთებლად.

ხ. ელიაძე.

# დეპეშები

(საქართველოს ტელეგრაფო სააგენტო).

28 ნოემბერი.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. 27 ნოემბ. (ც. ა. კ. ზედვითი ბიუროს ბიულეტენი. უკრაინის ამბები. რევოლიუციონური მოძრაობა უკრაინაში ძლიერდება. სკოროპადსკის მთავრობა ყველგან ჩამოაგდეს. აარსებენ საბჭოებს. „სამოსტიინიკების" ხელმძღვანელი პეტლიურა პოპულარობით არ სარგებლობს. კურსკი. 26 ნოემ. ხარკოვში დაარსეს მუშათა დეპუტატების საბჭო. საბჭოს უმრავლესობა ბოლშევიკებისგან შესდგება. მემარცხენე ესერები ყველგან დამარცხდნენ. მენშევიკები და მემარჯვენე ესერები ვერ ბედავენ ქარხნებში გამოსვლას. პეტლიურას ატამანი ბოლბაჩანი შეეცადა მოძრაობის შეჩერებას. აკრძალა კრებები და მიტინგები, მიუხედავათ ამისა მუშები განაგრძობენ არჩევნებს და მიტინგებს აწყობენ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოუშვა ბოლშევიკური მოწოდება. გერმანელ ჯარისკაცებმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს და პეტლიურას ბრძანებას არ ასრულებენ. დონეცის ოლქში ბრიანსკის მაღაროებში, ენაკიევოში, სლავიანსკში, გორლოვკაში, ალმაზნაიაში და ლისიჩანსკში. 20 ნოემ. დემონსტრაციები მოხდა. კრასნოვის თეთრ გვარდიელები ებრძვიან საბჭოებს და აპატიმრებენ მუშებს. კიევთან, გეტმანის და პეტლიურის ჯარს შორის ბრძოლაა. ტაგანროგში ქარხნები არ მუშაობს, მუშები უარს ამბობენ ყუმბარების დამზადებაზე. ცენზურა არ უშვებს ცნობებს უკრაინის შესახებ. ოდესის ქარხნებში დაჰყარეს ბოლშევიკური პროკლამაციები, რომელიც მოუწოდებს მუშებს გამოვიდნენ სამოქმედოთ და დაარსონ საბჭოები. უკრაინის მეამბოხე ბოლშევიკები პროპაგანდას ეწევიან გერმანელ ჯარისკაცებში სადგურ მაკეევკაზე გერმანელნი მეამბოხეთ დახმარებას დაჰპირდენ. კიევში გერმანელ ჯარისკაცებში აგიტაციის გამწევთ სდევნიან. მათ წინააღმდეგ მკაცრი ზომებია მიღებული, აგიტატორებს ხვრეტენ. სევასტოპოლიდან იუწყებიან, რომ შავ ზღვაში მოკავშირეთა ფლოტი არ არის. შეეცადნენ რადიოს საშუალებით დალაპარაკებას, მაგრამ პასუხი არ მიიღეს. გერმანია. ნაუენი. 25 ნოემ. ბერლინის საბჭოს ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება საბჭოთა ყრილობის მოწვევის შესახებ. ყრილობის პროგრამაა: „დროებითი ცენტრალურ საბჭოს არჩევნები, საბჭოს არჩევნების საერთო სისტემის შემუშავება და დამფუძნებელ კრების საკითხის გადაწყვეტა. გერმანიის მთავრობას მოლაპარაკება აქვს პოლონეთთან აღმოსავლეთიდან სურსათის და გერმანიის სამხედრო ნაწილების გაწვევის შესახებ. ნაუენი 25 ნოემბერი. გერმანიისჯარის მიერ პოლონეთის ოკუპაცია ფაქტიურათ შეწყდა. პოლონელი სტუდენტები ლეგიონერები იარაღს ჰყრიან გერმანელ აფიცრებს და ჯარ.-კაც. ბოლშ. გამოსვლის წინააღმდეგ მიღებულია ზომები იტალია. ავსტრიიდან იტალიის სამხ. ტყვეებს სამშობლოში გზავნიან. პარიზი. 26 ნოემბერი. სენის დეპარტამენტის სოციალისტების სხდომაზე, რუსეთის გამცემ სოციალისტების რუსანოვის აკსელროდის და სუხომლინის დეკლარაცია მოისმინეს. დეკლარაცია საბჭოთა წინააღმდეგ არის მიმართული და ამტკიცებს, რომ ბოლშევიკებმა რუსეთის მიწათ მოქმედება და ვაჭრობა გაანადგურეს. პსკოვი. 26 ნოემბერი. პსკოვის აღების დროს ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდო ყუმბარების დიდი საწყობი თეთრგვარდიელთა ბანაკში. ვორონეჟი. 26 ნოემბერი. როსტოვში აკრძალეს პროფესიონალურ ორგანიზაციების კრებები. პროფესიონალურ კავშირების საბჭოს ბინას რეკვიზიცია უყვეს სამხედრო საჭიროებისთვის. ეკატერინოდარში მუშათა ჩხრეკამ და დაპატიმრებამ მასიური ხასიათი მიიღო. დააპატიმრეს 16000 კაცზე მეტი. ვორონეჟი. 26 ნოემბერი. საეპარქიო კრებამ მღვდლებს შემდეგი მოწოდებით მიმართა: „თუ თვით ხალხი არ დაიცავს საეკლესიო მამულებს, იმ შემთხვევაში დახურეთ ეკლესიები". მოსკოვი. 26 ნოემბერი. მოსკოვის საბჭოს სხდომა. დღევანდელ მოსკოვის საბჭოს სხდომაზე რაკოვსკიმ მოხსენება გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობაზე. მომხსენებელი შეეხო მოკავშირეთა წინსვლას და სთქვა, რომ რუსეთის აქტიური მოწინააღმდეგე ინგლისი იქნება, რომლისთვისაც ჩვენ საშიში მტერი ვიქნებით აზიაში. ინგლისი ეცდება მხარი დაუჭიროს ჩვენში კონტრრევოლიუციას, გადმოსხამს დესანტს რიგაში, ლიბავაში, დვინსკს პეტროგრადს; მაგრამ ყველა ეს მხოლოდ დემონსტრაცია იქნება. ფრონტის შესახებ მოხსენებას აკეთებს სადოვნიკოვი. მომხსენებელი აღნიშნავს საბჭოთა წითელი არმიის სიმამაცეს და ამტკიცებს, რომ ჯარის ორგანიზაცია თანდათან ძლიერდება. მოხსენების შემდეგ მიიღეს რეზოლიუცია: „მოსკოვის საბჭო რუსეთის და მთელი ქვეყნის მშრომელთა მასის ყურადღებას მიაქცევს იმ საფრთხეს, რომელსაც უმზადებს მას მოკავშირეთა იმპერიალიზმი. მოსკოვის საბჭო მოუწოდებს ყველა მოქალაქეთ, თავი მოიყარონ მუშათა და გლეხთა მთავრობის გარშემო, რათა მოიგერიონ ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმი, რომელსაც მშრომელთა მონობა სურს. მოსკოვის საბჭო მიესალმება ყველას, ვინც უარჰყო თავის შეცდომა, მზადაა რევოლიუციის დამცველთ გვერდში ამოუდგეს და ებრძოლოს ინგლის ამერიკის იმპერიალიზმს. წითელ არმიაში და საორგანიზაციო მუშაობაში უნდა მიიღოს მონაწილეობა საბჭოთა რესპუბლიკის ყველა პატიოსანმა მოქალაქემ. შემდეგ რეზოლიუცია მიესალმება ბერლინის საბჭოს იმის გამო, რომ მან გადასწყვიტა საბჭოთა ცენტრალურ მთავრობის და სოციალისტურ ჯარის შედგენა.

მოსკოვი. 27 ნოემბ. მოსკოვის საბჭო მიუთითებს გერმანიის პროლეტარიატს ინგლის-ამერიკის საფრთხეზე, რომელსაც ჰსურს რუსეთის და გერმანიის რესპუბლიკის განადგურება ჩ. კ. სრულიათ რუსეთის კონფერენცია. მოსკოვში გაიხსნა სრულიათ რუსეთის ჩ. კ. მეორე კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 100 დეპუტატი. ამხანაგმა რადეკმა მოხსენება გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობაზე. მისი აზრით მომავალ გაზაფხულზე მოკავშირენი აღმოსავლეთის ფრონტზე დიდ ოპერაციებს ვეღარ აწარმოებენ. ამ დრომიც კი მდგომარეობა შეიცვლება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში [illegible] ჩვენი მოკავშირე შეიქმნება. კონფერენციამ დაადგინა [illegible] ლიბკნეხტს და გერმანიის მუშებს. სკრიპნიკი მოხსენებას აკეთებს კულაცკის ამბოხებაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამბოხებას ხელმძღვანელობდენ ყოფილი აფიცრები და მონარქისტები, ამიტომ ამბოხებას ორგანიზაციული ხასიათი ჰქონდა. მეამბოხენი დავამარცხეთ. შესდგა „აღმოსავლეთის განთავისუფლების კავშირი", რომელსაც მიზნათ აქვს შეებრძოლოს უცხოელ იმპერიალისტებს და შექმნას აღმოსავლეთში ანტი-იმპერიალისტური ფრონტი და ფედერატიულ ნიადაგზე რესპუბლიკების დაარსება აზიის შეერთებულ შტატების სახით. კავშირი მოითხოვს მიწების და ბუნებრივ სიმდიდრის ნაციონალიზაციას. კავშირმა თავისი მოღვაწეობა აღმოსავლეთის საბჭოთა რუსეთთან დაახლოვებით დაიწყო. სრულიად რუსეთის ც. ა. კ. შეერთებული ძალით დაარსდა ცენტრალური სააგენტო. სააგენტოს განყოფილება ექნება ყველა გუბერნიის აღმ. კ. და სამაზრო აღმ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით აკრძალულია ხელოვნების საგნების საზღვარ გარეთ გატანა. გამოიცა ინსტრუქცია, სადაც ჩამოთვლილია ყველა საგანი, რომელიც მხატვრულ და ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს. სმოლენსკში, ტამბოვში, იაროსლავში და ასტრახანში გაიხსნა უნივერსიტეტი. პეტროგრადი: 26 ნოემბ. განზრახულია გაიხსნას ახალი უმაღლესი სასწავლებელი, გიდროგეოლოგიური ინსტიტუტი.

ინგლისის პრესის ცნობები.

27 ნოემბ. საზღვარ გარეთიდან მოსულ ცნობების ცენზურა გაგრძელდება ზავის ჩამოგდებამდე.

მეფის დეკლარაციის თანახმად ახალი პარლამენტი 1 იანვრისთვის იქნება მოწვეული.

„დეილი ქრონიკლი" აღნიშნავს, რომ გერმანიაში ქაოსია, პოლიტიკური მდგომარეობა თანდათან რთულდება და იხლართება. იმ დროს, როცა ახალ სოციალისტურ წყობილების შემოღება სურთ, ზოგიერთები დაუფარავათ აღიარებენ თავიანთ თანაგრძნობას ძველ წესწყობილებისადმი.

პარიზიდან იუწყებიან, რომ ბოსფორის სრუტე სრულიად გაწმენდილია ნაღმებისაგან.

ბრიტანიის ტყვეები ჯერ ჯერობით არ გამოუყვანიათ ოსმალეთიდან. ტარენტში ჩამოვიდა მხოლოდ ტყვეების მცირე ნაწილი.

ბოსტონიდან იუწყებიან, რომ ქალაქის და ახლო მახლო ადგილების მცხოვრებნი დიდი სიხარულით და ზეიმით შეხვდნენ ინგლისის 26 დივიზიის უფროსს გენ. მაიორ ედვარდს, რომელიც მხოლოდ ახლა დაბრუნდა საფრანგეთში.

მეფე გეორგი ოთხშაბათს ჩამოვა საფრანგეთში და ღამეს გაათევს მენტრსიურ მერში. ხუთშაბათს დილით მეფე და ტახტის მემკვიდრე პარიზში ჩავლენ.

მეფე გეორგი, ტახტის მემკვიდრე და მეფე ალბერტი ლონდონიდან დღეს პარიზში გაემგზავრენ. სადგურ ვიქტორიაზე მათ შეეგება უამრავი ხალხი.

პარიზის გაზეთი „მატენი" სწერს: სიხარული, რომელსაც პარიზის მცხოვრებნი გამოიჩენენ მეფე გეორგის ჩამოსვლისას იქნება ერთსულოვანი. მეფე გეორგი ხელმძღვანელია იმ ხალხის რომელმაც სამშობლოს დასაცავათ 7 მილიონიანი ჯარი მისცა. ის უმაღლესი ხელმძღვანელია იმ ფლოტის, ურომლისოთაც ომი წაგებული იქნებოდა რამოდენიმე კვირაში, რომელმაც ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია წყალქვეშა ომს და უზრუნველჰყო მოკავშირეთა ბატონობა ზღვაზე. ამ ფლოტის წყალობით ჩვენ დავიმორჩილეთ გერმანიის ფლოტი, რომელსაც ეყრდნობოდა გოგენცოლერნთა ტახტი. ინგლისის ჯარი ამ ომის განმავლობაში პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. ორივე ერი მომავალში განამტკიცებს თავის მეგობრობას და მთელ თავის ენერგიას და მატერიალურ ქონებას ერთი მეორის სასარგებლოთ შეადუღებს და გამოიყენებს.

ლიონი. 27 ნოემბერი. საფრანგეთის ჯარი სტრასბურგში შევიდა. ფრანგების ჯარს მცხოვრებნი დიდი სიხარულით შეხვდნენ.

შ-იარაღების სამინისტრო დაიშალა და შეიცვალა მრეწველობის განახლების სამინისტროთი.

დღეიდან ელზას-ლორენის და საფრანგეთის დანარჩენ ნაწილებს შორის საფოსტო მიმოსვლა რეგულიარულათ სწარმოებს.

ხუთშაბათს პარიზში ინგლისის მეფეს და პრინც უელსის მოელიან.

გერმანული პრესის ცნობა.

26 ნოემბერი. საფრანგეთის მილიტარისტთა აშკარა ძალადობას მიზნათ აქვს დროებითი შერიგების ისე უყუროს როგორც ომის გაგრძელებას, რომ გაანადგუროს გერმანია, როგორც ნაციონალური ერთეული. ჰინდენბურგის დე-

პეშაში გამოთქმული საშიშროება, რომ ფრანგები მოელიან ომის განახლებას, თითქოს მართლდება. ამიტომ გერმანიის მთავრობა იძულებული შეიქმნა გაეცა ბრძანება სამხედრო ძალთა მთავარ ხელმძღვანელებისადმი—მოერიდონ ფრანგებთან შეტაკებას მაშინაც კი, თუ ფრანგები სროლას დაუწყებენ გერმანელებს. გერმანიის ტერიტორიის განადგურება აშორებულ უნდა იქნას ყოველ შემთხვევაში. გენერალ გრონერმა დღეს დილით გაგზავნა შემდეგი საპასუხო დეპეშა: „ცენტრალური მთავრობის სურვილი, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ მტრის წინააღმდეგ იარაღი არ ვიხმაროთ, მიღებულია მხედველობაში და შესრულებულია“. ფრანგების გენერლები გერმანიის ჯარების გადაჯგუფებას უყურებენ როგორც ევაკუაციის დაგვიანებას. ისინი ცდილობენ ხელში ჩაიგდონ არა მარტო სამხედრო და სატრანსპორტო მასალები, რაც განხილულია დროე- [illegible]

[illegible] სებობა.

ბერლინის მუშათა და ჯ. კ. საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შეიმუშავა გეგმა გერმანიის სოციალისტური არმიის შედგენისა. არმია შესდგება ჯარისკაცებისა და მათ ხელმძღვანელთაგან. სამხედრო დისციპლინა მხოლოდ სამსახურს შეეხება. სამხედრო მისალმება ითვლება მეგობრობის მაჩვენებელ ნიშნად სამხედრო უფროსებს პირდაპირ ხელქვეითები ირჩევენ. ძველი სახელმწიფო ებრივი საიმპერატორო კოკარდები ისპობა, როგორც მაჩვენებელი მილიტარიზმისა. მათ მაგიერ წითელი ნიშნები შემოიღება, როგორც სოციალისტური რესპუბლიკის მაჩვენებელნი. აფიცრებსაც ჩვეულებრივი ტანთსაცმელი აქვთ. იარაღს მხოლოდ მაშინ ატარებენ, როცა სამხედრო სამსახურს ეწევიან.

პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, პოლონეთის დივიზიონის გენერალს რაზვადოვსკის ცნობა მოსულა, რომ პოლონეთის ჯარს 24 ნოემბერს დილით აუღია ქ. ლემბერგი (ლვოვი) და მისი მიდამოები.

იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც დაბეჭდილია „ტაგ რესპუბლიკის“ გაზეთში, გამოცხადებულია ლატვიის დამოუკიდებლობა. პრემიერ-მინისტრად არჩეულია კარლოს ულმანი.

# ახალი ამბები

დღეს, ხალამოხ 6 საათზე, შესდგება ს. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის კრება

◆ მთავრობის ცნობა. ამ ბოლო დროს ქალაქში განზრახ ავრცელებენ ხმებს, თითქოს ინგლისელები და ფრანგები სამტროთ მოიწევენ ჩვენსკენ. სწორი ცნობების თანახმათ მთავრობა აუცილებლათ სთვლის განაცხადოს, რომ არც საფრანგეთი, არც ინგლისი და არც სხვა რომელიმე სახელმწიფო არა თუ მტრულათ უყურებენ ჩვენს ხალხს, არამედ სრულის ნდობით და მეგობრული გრძნობით გვეპყრობიან.

◆ პარლამენტის სადღესასწაულო სხდომა. კვირას 1 დეკემბერს შესდგება საქართველოს პარლამენტის არაჩვეულებრივი, სადღესასწაულო სხდომა, საქართველოს დამოუკიდებლობის ნახევარი წლის აღსანიშნავად. მოხსენებას გააკეთებს მთავრობის თავმჯდომარე მთავრობის ნახევარი წლის მოქმედების შესახებ. მოხსენებას გააკეთებს აგრეთვე პარლამენტის თავმჯდომარე პარლამენტის ნახევარი წლის მუშაობის შესახებ. მოხსენების შემდეგ სიტყვებს წარმოსთქვამენ ფრაქციების წარმომადგენელნი. სხდომაზე დასწრების ნება აქვთ მთავრობის წევრებსა და პრესის წარმომადგენელთ, კერძო პირებმა კი, ვისაც პარლამენტის სხდომაზე დასწრება სურთ, პარლამენტის ქვესტორისაგან ბილეთი წინადვე უნდა აიღონ.

◆ ვიქტორ ადლერის გარდაცვალება. 13 ნოემბრის ადესის გაზეთებში მოთავსებულია ბერლინიდან დეპეშა, რომ ვენაში გარდაიცვალა გერმანული ავსტრიის მთავრობის თავმჯდომარე, ცნობილი ლიდერი და დამაარსებელი გერმანიის და ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა ვიქტორ ადლერი (მამა ფრიდრის ადლერისა).

◆ ადერბეიჯანის პარლამენტი (მეჯლისი). ადერბეიჯანის ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი ადერბეიჯანის პარლამენტის მოწყობისა, საცა შევლენ

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები. რიცხვი დეპუტატებისა უდრის 120, ამათში იქნება 80 მუსულმანი, 21 სომეხი, 10 რუსი, 1 ქართველი, 1 ებრაელი, 1 გერმანელი, 1 პოლონელი.

◆ გენ. ტომსონის პროკლამაცია. ბაქოს ესერების გაზეთ „ზნამია ტრუდას“ 24 ნოემბრის № ში (№ 125) დაბეჭდილია შემდეგი პროკლამაცია: „ამით ვაუწყებ კავკასიის მცხოვრებთ, რომ კავკასიაში მოკავშირეთა ჯარების გაგზავნის მიზანი არის საზოგადოებრივი უშიშროების დამყარება რუსეთის იმ ტერიტორიაზე, რომელიც მოთავსებულია შავი კასპიის ზღვათა შუა, ყურის გდება, ასრულებული იქნეს დროებითი ზავის პირობები, რომლის გარანტია მოკავშირეებმა მისცეს ოსმალეთს დაცვა კანონისა და წესრიგისა, ვიქონიებთ რა მხედველობაში, რომ ყველა საკითხები, რომლებიც აღნიშნულ ტერიტორიას შეეხება გადასწყვეტს საზავო კონფერენცია. მოკავშირეთა ჯარების უფროსი [illegible]

[illegible] დობით მომეგვარებია, მაგრამ იმათ მუქარით მომართეს და ძალით გაემგზავრენო.

◆ სამხედრო მინისტრის დაბრუნება. ამ დღეებში თფილისში დაბრუნდა სამხედრო მინისტრი გრ. გიორგაძე. მინისტრი თვით დარწმუნდა, რომ ჯარის სურსათის მხრივ სრულიად უზრუნველყოფილია.

◆ დანიშვნა. გარეშე საქმეთა მინისტრმა საქართველოს კონსულად ნოვოროსიაში დანიშნა პეტრე მ. ჩინიჯაშვილი. მას მიენდო გამოაცხადოს და შეატყობინოს საქართველოში წამსვლელთ, რომ ისინი შემოშვებულნი იქნებიან საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ მისი ნებართვით.

◆ კრება. „ავლაბარ-პალას“ თეატრში პარასკევს 29 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია საერთო კრება ავლაბრის სახალხო გვარდიისა. ამხ. ვალ. ჯუღელის თანადასწრებით. ამხ. გვარდიელებს გთხოვთ არ დაიგვიანონ და დროზე დაესწრონ კრებას.

◆ ის პირნი, რომელნიც ჩაწერილი არიან ყარაიაზში დასასახლებლათ, აუცილებლათ უნდა გამოცხადდნენ ამ თვის 30 ნოემბრამდის ყარაიაზში, რომელნიც მოთავსებული იქნებიან სოფელ ვოეიკოვოში.

◆ წარმოდგენა. დღეს, 29 ნოემბერს ქართულ კლუბის თეატრში ელ. ჩერქეზიშვილის, ნ. ჯავახიშვილის და ვასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: არშინ მალ-ალან.

ქ რ ე ბ ე ბ ი.

დღეს, 29 ნოემბერს დღის 4 საათზე დემოკრატიული კლუბის შენობაში (მუშტაიდში) დანიშნულია თფილისში მცხოვრებ ოსებთა კრება. კრებამ უნდა აირჩიოს 7 დელეგატი მე-4 სამხრეთ-ოსეთის ყრილობაზე გასაგზავნად (დანიშნულია 3 დეკემბ. ქ. ცხინვალში).

# სავალდებულო დადგენილება

ქ. თფილისის და მის მიდამოების გენერალ გუბერნატორისა თანახმად გამოცემულ წესდებისა იმ ადგილზე სადაც გამოცხადებულია სამხედრო წესები.

აღიკრძალება ცხოვრება ჩემდამი რწმუნებულ საგენერალ-გუბერნატოროში იმ პირთ, რომლებსაც არა აქვთ რაიმე განსაზღვრული სამუშაო და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებად არ ითვლებიან.

აღნიშნული პირნი ვალდებულნი არიან ერთი კვირის გინმავლობაში დასტოვონ საგენერალ გუბერნატორო, წინააღმდეგ შემთხვევაში ადმინისტრატიულ წესით იქნებიან გაგზავნილნი ხსენებულ საგენერალ-გუბერნატოროდან.

მუშები, რომელთაც ამ ჟამად არა აქვთ სამუშაო ვალდებულნი არიან ჩაეწერონ თავიანთ პროფესიონალურ კავშირებში, ან ქალაქის შრომის ბირჟაში.

იმ მუშებს, რომლებიც ჩაუწერელი არიან, ჩასაწერად ეძლევათ ორი კვირის ვადა. რის შემდეგ თუ არ ჩაეწერებიან, გადასახლებულნი იქნებიან საერთო წესით.

ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდვისა.

ქ. ტფილისის და მისი მიდამოების გენერალ გუბერნატორი

გენერალ-მაიორი მაზნიაშვილი.

# ბაქოში

24 ნოემბერს, ბაქოდან ჩამოსულმა ამხანაგმა შემდეგი გადმოგვცა: „ინგლისელების წინადადების თანახმათ ოსმალებმა დაუყოვნებლივ დასცალეს ბაქო. ოსმალებმა გაზიდეს ყველ ფერი რისწაღებაც კი შეიძლებოდა, აფთიაქებიდან წამლებიც კი გაიტანეს. ინგლისელების შემოსვლისას ტომსონმა გამოსცა ბრძანება, რომ ვინც აღმოაჩენდა ჯერმანელ, ოსმალელ და ავსტრიის ჯარისკაცებს დასაჩუქრებული იქნებოდა. თითო ჯარისკაცზე 200 მ. პირდება, აფიცრებზე 500 მან. ბიჩერახოვის რაზმის შემოსვლისთანავე სადგურზე მოხდა შეტაკება. ადერბეიჯანის ჟანდარმერიების და ბიჩერახოვის რაზმის სომხურ ნაწილის შორის. თათრებმა დაატყვევეს სომხები ბიჩერახოვის რაზმიდან, ბიჩერახოვის რაზმის მეორე ნაწილმა, უმთავრესად რუსობამ, ღამე ასტეხეს სროლა სადგურზე, როგორც გამოირკვა ისინი დაეთროთ, ამ სროლამ იმსხვერპლა ერთი ქალი და რამდენიმე მაჰმადიანი დაიჭრა: სადგურთან გაჩნდა ინგლისელების ჯავშნიანი ავტომობილი, რომ თუ ვინიცობაა მომხდარიყო არეულობა მიეღო ზომები მის ჩასაქრობათ. ბიჩერახოვის ჯარისკაცები გაემგზავრენ ბალახანის ქუჩებზე და დაიწყეს სროლა. მოსალოდნელი იყო ნაციონალური შუღლის გაღვივება სომეხ-თათართა შორის; რომ გენ. ტომსონს არ მიეღო ზომები ამის წინააღმდეგ.

ბიჩერახოვის ჯარისკაცები—უმთავრესათ უნტერ-აფიცრები ცხენებს დააქანებდნენ ქუჩებში და ხელს უწყობდნენ არეულობის მოხდენას. შედიოდნენ დუქნებში, ყიდულობდნენ სანოვაგეს და არავითარ ნიხრს არ დაგიდევდნენ, თუ ღირდა საქონელი 5 მან. აძლევდნენ 1 მანეთ. ასეთმა მდგომარეობამ აიძულა ტომსონი, აეყარა იარაღი ბიჩერახოვის რაზმისთვის. ტომსონის განკარგულების თანახმათ, არც ერთ ჯარისკაცს გარდა ინგლისელებისა არ აქვთ უფლება იარაღით გამოსვლისა ქუჩაში, მხოლოდ თუ ჯარის ნაწილი მიდის საყარაულოთ და აქვთ სათანადო უფლება თავიანთ უფროსისაგან, იმ შემთხვევაში ეძლევათ ნება თოფების ტარების. ქალაქს იცავენ ინგლისელები: ქალაქში წეს-რიგი არის. ტომსონმა თავის მისასალმებელ სიტყვაში ადერბეიჯანის მთავრობის მიმართ აღნიშნა, რომ მათ არ სურთ ჩაერიონ ადერბეიჯანის შინაურ საქმეებში, მათი მიზანია რუსეთის აღდგენა და ბალშევიკებთან ბრძოლა. ტომსონმა დანიშნა ყველა უბნებში კომისრები, რომელთაც ექვემდებარებიან ყველა უბნის ნაწილები, სურსათის მხრივ ბაქოს მდგომარეობა ასეთია. ბლომათ მოიძებნება ხმელი თევზეულობა, მხოლოდ პური გაქრა ბაზრიდან. წინათ თუ გირვანქა თეთრი პური 3 მან. ღირდა ეხლა ექვს მანეთადაც არ იშოვება წამოსვლის 23 ნოემბერს ამხ. ვეღარც კი ეშოვნა პური. ქარხანებში წარმოება მისუსტებული ტემპით სწარმოებს ნავთი ბაქოში ფასობს 22—23 მან. ფუთი სექტემბრამდის რამდენიმე მილიონი ფუთი ნავთი იყო დამზადებული.

# რუსეთის ცხოვრება

რუსეთიდან ახლად დაბრუნებულ თფ. კოოპერატივთა თავმჯდომარეს სტაროსელსკის შემდეგი ცნობები გადაუცია გაზეთ „კავკ. სლოვო“-სთვის.

მოკავშირენი და რუსეთი.

პოლიტიკური კვანძი, რომელიც აერთიებს მთელ სამხრეთ რუსეთს, არის რუმინიის ქალაქი იასსა. იქ თავი მოუყრიათ ყველა ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლებს. იქ მოკავშირეთა დიპლომატიურ წარმომადგენლებისაგან შემდგარია კომისია, რომელიც აღჭურვილია უფლებებით—გადასწყვიტოს ყოველივე კითხვა რუსეთის შესახებ. იასსაში იმყოფებიან აგრეთვე ცენტრალურ სახელმწიფოთა დიპლომატები და ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლები. იასსა გადაიქცა იმ ალაგათ, სადაც მიისწრაფიან სამხრეთ რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზაციების წარმომადგენლნი. ბლომათ არიან იქ უკრაინის წარმომადგენელნიც, იქ შეხვდებით მინისტრებს, დიპლომატიურ წარმომადგენლებს, „პროტოფისის“ წარმომადგენლებს (ვაჭართა და მრეწველთა კავშირი) იქვე იმყოფებიან დონის, ყირიმის, ყუბანის, მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელნი. ეკატერინოდარის თათბირის შემდეგ იასსაში გაემგზავრა შულგინი; იასსაში იმყოფებიან რუსეთის პოლიტიკური მოღვაწეებიც. მოკავშირეებს სურთ დაეხმარონ იმ რუსეთის პოლიტიკურ ჯგუფებს, რომელთაც სურთ მთლიან რუსეთის აღდგენა. რუსეთი უნდა აღდგენილ იქნას ძველ თავის საზღვრების მიხედვით. მხოლოდ ფინეთი და პოლონეთი ამ საზღვრებში არ შედიან ჯერჯერობით. ყველა ერებს და კუთხეებს შეიძლება მიენიჭოთ ავტონომია, ყველა იმ კითხვებს გადასწყვეტს დამფუძნებელი კრება. ამ საერთო დებულების მიღების თანახმათ, მოკავშირეებმა მიმართეს ყველა კუთხეების მთავრობებს, რომ ძირიანათ შესცვალონ თავიანთ მოქმედების პოლიტიკური კურსი, ნუ იქნებიან გატაცებულნი თავიანთ დამოუკიდებლობით და იმუშაონ თანხმობით იმ ძალებთან, რომელთაც სურთ მთლიან რუსეთის აღდგენა. უმთავრესათ ეს შეეხებოდა უკრაინას, ყირიმს და დონს. უნდა აღინიშნოს, რომ ფორმალურათ ასეთი მოთხოვნილება არ იყო წარდგენილი, მხოლოდ იყო განცხადება მოკავშირეების მიერ, რომ თუ ეს მხარეები მიიღებენ მოკავშირეთა წინადადებას, ისინი დაეხმარებიან, როგორც ეკონომიურათ ისე სამხედრო ძალებით, ბალშევიკების წინააღმდეგ.

გეგმა ბალშევიკებთან ბრძოლისა.

ბალშევიკებთან საბრძოლველათ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს, შექმნან მთლიანი ფრონტი. უმთავრესი საომარი ხაზი იქნება ოდესიდან მოსკოვამდე. იმედი აქვთ, რომ ორივე დიდი ქალაქები მოსკოვი და პეტროგრადი აღებულ იქნებიან ერთ და იმავე დროს, რადგანაც გაძლიერებულ იქნება ჩრდილოეთის ფრონტიც (მურმანის). უმთავრესი საომარი მოქმედება მოხდება სამხრეთში, იქ გადასხამენ უმთავრეს დესანტს; მოკლე ხანში იქ მოელოდებიან ტრანსპორტს საომარი იარაღებით. მოკავშირეთა ცნობებით დესანტი მათი სამხრეთში იქნება არა ნაკლებ 3—4 კორპუსის. გაზეთების ცნობებით მოკავშირეთა თათბირის დადგენილებით, რუსეთის მთლიან ფრონტის მეთაურათ იქნება მოხალისეთა ჯარი. ამით აიხსნება ალბათ ეკატერინოდარში მომხდარი ამბები მთელი რუსეთის მთავრობის შედგენა და სხვ.

# ფარმაცევტთა ყრილობის გამო

ამ დარგის მოსამსახურენი პირველად იკრიბებიან ფართო ყრილობის სახით თავისუფალ საქართველოში. ფარმაცია ერთი იმ მეცნიერულ დარგთაგანია, რომელსაც დიდი სამსახურის მოტანა შეუძლია სალხის ჯანმრთელობის საქმეში და ამ მხრივ არის ის დაფასებული. მედიცინა და ფარმაცია ტოლნი ძმანია, და ურთმანეთოდ, ცალ ცალკე მათი მნიშვნელობა ეცემა. დღევანდელი აფთიაქები საზოგადოთ პროვინციაში უკუღმართ პირობებში იმყოფებიან. წამლები ძნელი საშოვარია ბაზარზე, ამიტომ ზოგი მადა გახსნილი პრინციპალი ფალსიფიკაციას არ ერიდება. აფთიაქებში ფალსიფიკაციის წინააღმდეგ იყო ხოლმე რევიზია, რომელიც ხდებოდა საგუბერნიო-საექიმო განყოფილების მიერ ადგილობრივ ექიმთა საშუალებით. ეს „პროცესი“ ეხლაც გრძელდება, მაგრამ მე არასოდეს მინახავს ექიმებს სოფლები ჩამოევლოთ და რევიზია გაეკეთებიოთ, თუმცა მართალი უნდა ითქვას, ჩემის აზრით, ეს მათ მოვალეობას არ შეადგენს და კანტროლის როლი შემდეგში ნდობით აღჭურვილმა გამოცდილმა ფარმაცევტთა კოლეგიამ უნდა აიღოს თავის თავზე. საერთოდ ამ კითხვის შესახებ კარგი იქნება თუ საორგანიზაციო ბიურო დასვამს კითხვას ყრილობაზე სახელდობრ: ჩვენი დამოკიდებულება საექიმო განყოფილებასთან. შეიძლება ეს უკანასკნელი ორგანიზაციის სახე შეიცვალოს, მაგრამ ჩვენი დამოკიდებულება საექიმო საქმეებთან მაინც უნდა გამოირკვეს და ცალ ცალკე ჩამოყალიბდეს ჩვენ საქმეს ჩვენვე უნდა მოუაროთ. სხვათა შორის ყრილობაზე ისმება ისეთი კითხვები, რომელსაც გარდა პროფესიონალური მნიშვნელობისა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც აქვს, და ამ მხრივ მოითხოვს ყრილობის მიერ დიდ მუშაობას.

მუნიციპალიზაცია, თუ ნაციონალიზაცია აფთიაქების, განათლების საკითხი და ქიმიკო-ფარმაცევტიულ მრეწველობის მოწყობა საქართველოში, აი უმთავრესად ის დიდი კითხვები, რომლებზედაც ჯანმთელობის საქმის დიდი ნაწილია დამყარებული და ჩვენი მთავრობაც დაეყრდნობა მის ამ თუ იმ სახით გადაწყვეტილებას. არა ნაკლებ მნიშვნელობის არის საორგანიზაციო კითხვები, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს უმთავრესად პროვინციისათვის, სადაც ფარმაცევტები შეუკავშირებელი არიან, და სწორედ მომავალი ცენტრი, მათ გაუწევს საერთო მფარველობას.

პ. ლეხელი.

# საგანგებო კრება

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის წევრთა.

24 ნოემბერს ქართულ კლუბის დარბაზში შესდგა საგანგებო კრება ხსენებულ დაწესებულებისა. კრებას დაესწრო აგრეთვე საგანგებოთ მოწვეულნი პარლამენტის ხელოვნების კომისიის წევრნი და წარმომადგენელნი ფრაქციათა და პრესისა. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დრამატურგი ნ. შიუკაშვილი. საქმის ვითარებაზე მოხსენება გააკეთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ შალვა დადიანმა. მომხსენებლის სიტყვებიდან გამოირკვა, რომ საზოგადოებაში, მითქმა მოთქმა არსებობს, თითქოს რაღაც ბრძოლა იყოს ახლად დაარსებულ დრამატიულ სტუდიასა და კავშირს შორის და ამის გამო ფერხდებოდეს საქმე, როგორც ერთის, ისე მეორეს მხრით. მოხსენებულ იქნა ისიც, რომ ამ საქმეში თვით მთავრობაც ჩაერია, მაგრამ ორ დასს შორის შეთანხმება ვერ მოახერხა და ამ ჟამად საქმე ისეა, რომ სეზონი აღარც კავშირელებს აქვს და არც დრ. საზოგადოების სტუდიას. მომხსენებელმა განუმარტა კრებას, რომ კავშირის მისწრაფება იყო თფილისში შექმნილიყო ერთი ეგრედწოდებული აკადემიური დასი, რომელშიაც იქნებოდნენ დამსახურებულნი და აგრეთვე სასცენო საქმეში უკვე გამოწრთვნილი მსახიობნი. რაც შეეხება სტუდიის დაარსებას და ახალ ძალთა მოელენას, ამას რაღა თქმა უნდა სიამოვნებით ეგებებოდა კავშირი, მხოლოდ დრომდე მათ თავის დასში ვერ მიიღებდა. კავშირს სწამდა, რომ სტუდია ეს მხოლოდ საწრთვნელი სკოლაა და მათი საშუალებით ჯერ ჯერობით სეზონის წაყვანა შეუძლებელია, ამიტომაც სახელმწიფო თეატრში წარმოდგენების დღეები უნდა დასთმობოდა მხოლოდ გამოცდილ დასს. აქედან კი თავის თავათ გამომდინარეობს, რომ კავშირი არავითარ მტრულ განწყობილებაში არ იმყოფება სტუდიელებთან, მაგრამ სხვების მიერ ეს ასეგანმარტებულ არ იქმნა და დიდი შეხლა-შემოხლა ატყდა სახელმწიფო თეატრში დღეების შოვნისათვის, ბოლოს, როგორც ყველას მოეხსენება სტუდიის ანტრეპრენიორებმა თავისი გაიტანეს და ხელი მიჰყვეს სეზონის წარმოებას, მაგრამ ორი წარმოდგენის მეტი ვეღარ შესძლეს და ეხლა დრ. საზოგადოებამ წინადადებით მოგვმართა, რომ ჩვენ უარს ვამბობთ სეზონის წარმოებაზე და თქვენ კი თუ გნებავთ ამ ჟამად შეგიძლიანთ სეზონის საქმეს ხელი მოჰკიდდოთ. ეს მდგომარეობა ოფიციალად დაადასტურა კრებაზე მყოფმა დრამატ. საზ. თავმჯდომარემ იოს. ბარათაშვილმა. შემდეგ კრებაზე აღიძრა სურვილი, რომ გამომჟღავნებულიყო მთელი წარსული ვითარება სეზონის საქმისა. ბევრმა ორატორმა დაასაბუთა, რომ კავშირი არაფერ შუაში იყო თუ წრევანდელი სეზონის საქმე ასე აიწეწ-დაიწეწა და სხვა. მაგრამ კრების უმრავლესობამ აღარ მოისურვა წარსულის დეტალების გარჩევა და ამჯობინა პრაქტიკულ საშუალების გამოძებნის ცდილიყვნენ. კამათში მონაწილეობა მიიღეს, როგორც მსახიობებმა აგრეთვე რ. არსენიძემ, აკ. ფალავამ, ს. ჰანტურიშვილმა, ალ. ახმეტელმა, ტ. ტაბიძემ და ბოლოს იმ გზას დაადგნენ, როდ კრებას აერჩია კომისია მთავრობასთან წარსადგენათ.

კრებამ დაადგინა სეზონი აწარმოვოს კავშირმა ან საკუთარის საშუალებით ან ანტრეპრენიორის გამოძებნით, ხოლო ყოველი ღონე იღონოს, რომ სეზონი უსათუოდ მოგვარებულ იქნას. ამასთანავე ხსენებულ კომისიას დაევალა ეთხოვოს მთავრობას, როს მან საკუთრად იყოლიოს ქართული დასი სახელმწიფო თეატრში, სოლო თუ ეს ამ ჟამად მოუხერხებელია, რაიმე ნივთიერი დახმარება მაინც აღმოუჩინოს კავშირის დასს. კომისიაში არჩეულ იქმნენ: რ. არსენიძე, ნ. შიუკაშვილი და შალვა დადიანი, რომელნიც ორშაბათს უნდა წარდგომოდენ კიდეც მთავრობას.

# ნაძალადევში

1-ლი რაიონის კულტურულ-განმანათლებელი კომისიის მოქმედება და ნაყოფი.

როგორც კი მოხდა ძველი რეჟიმის დაცემა და ხალხმა თავისუფლათ ამოისუნთქა. მოქალაქეებმა აირჩიეს თავიანთ ინტერესის გამომხატველი სამოქალაქო კომიტეტი, რომელმაც გამოჰყო თავიანთ შორის კულტურულ - განმანათლებელი კომისია და დაავალა ხალხში სწავლა-განვითარების გავრცელება. კომისია ასეც მოიქცა, მოუწოდა ყველა პარტიულ და დემოკრატიულ ორგანიზაციებს, რომ გამოეგზავნათ თავიანთი წარმომადგენლები კულტურულ-განმანათლებელ კომისიაში, რითაც შეგროვდა 13 კომისიის წევრი. პირველათ აღიძრა კომისიაში კითხვა აუცილებლათ მუშათა კლუბისთვის შენობის აშენების შესახებ. აირჩიეს ტეხნიკური კომისია და ამ კომისიამ გამონახა საშუალება და დაიწყო კიდეც შენობის აშენება რევოლიუციის მოედანზე, რომელიც მომავალ ზაფხულში იქნება დასრულებული. კომისია შეუდგა მაშინვე მასსაში განვითარების გავრცელებას „ძველ თეატრის ნაძალადევი“-ს შენობაში. დაიწყო ლექციების კითხვა უმთავრესათ მომენტის გასაშუქებელ კითხვებზე. ამისთვის იწვევდა მუშათა და ჯარისკაცთა ალმასრ. კომიტეტის პროპაგანდისტთა ბიუროდან ლექტორებს, ამ ლექციებით საშუალებაა ეძლეოდა ყველა მუშას გააცნობიდა რევოლიუციის მსვლელობას, და გადაედგა შესაფერი ნაბიჯი შეუცდომლათ. ასეც მოხდა, 1-ლი რაიონის მუშები პირველი გამოდიოდნენ რევოლიუციის დასაცავათ. მას შემდეგ უფრო ჩამოყალიბდა განვითარების საქმე. კულტურულ-განმანათლებელმა კომისიამ, მოწაფეთა წრის დახმარებით შარშან ზაფხულში რკინის გზის სასწავლებელში მოაწყო ღარიბ მოწაფეებისათვის მოსამზადებელი კურსები, სადაც სამასამდე [illegible] ზადებული შემდეგ [illegible] კომისიამ ამა [illegible] 16 [illegible] სნა განყოფილება სახალხო უნივერსიტეტისა და მას შემდეგ 80 უფასო ლექცია იქნა წაკითხული პოლიტიკურ და მეცნიერულ თემაზე. ამ ზაფხულში გაიხსნა მუშათა კლუბი, წიგნთსაცავ-სამკითხველო, მოეწყო სინემატოგრაფი, ბუფეტი, რაც ზაფხულის სეზონში ბრწყინვალეთ ასრულებდა თავის დანიშნულებას. ეხლა კი შემოდგომის სეზონისთვის შესდგა სცენის მოყვარეთა წრე. მოიწვიეს რეჟისორი ბ. მატარაძე. კომისიამ თავის განკარგულებაში მიიღო 1 ლი რაიონის სარევოლიუციო მომღერალ მგალობელთა გუნდი ივანე დედანაშვილის ლოტბარობით. 1 ოქტომბრიდან სახალხო უნივერსიტეტის განყოფილებაში იკითხება კვირაში ათი ლექცია სხვადასხვა თემაზე. მოქმედებს წიგნთსაცავ სამკითხველო, იშოვება ყოველგვარი გაზეთები და წიგნები ბუფეტიც მოქმედებს, ასე რომ ყოველ მსურველს შეუძლია თუ არ დაიზარებს მისვლას გაერთოს, გაეცნოს ცხოვრების და რევოლიუციის მიმდინარეობას და განვითარდეს უფასოთ, ყველა ამის შესრულებაში კომისიას დახმარებას უწევდა სხვადასხვა ორგანიზაციები მაგ. რკინის გზის ალმ. კომიტეტი უმთავრეს სახელონოს ალმასრ. კომიტეტი, დეპოს ალმასრ. კომიტეტი, სამოქალაქო კომიტეტი, პარტიული კომ. ს. დ. სახალხო უნივერსიტეტი და სხვა. შემდეგში იმედია ზემოხსენებული ორგანიზაციები არ დააკლებენ დახმარებას და საშუალებას მისცემენ მუშებს შეაჩვიონ ევროპიულათ აზროვნებას.

X.

# მუშათა შორის

ავლაბრის მუშათა კლუბის გახსნა.

22 ნოემბერს, „ავლაბარ-პალას“-თეატრის შენობაში დანიშნული იყო მუშათა კლუბის დამფუძნებელი კრება, სადაც დაესწრნენ მრავალი მუშები, განურჩევლათ პოლიტიკურ პლატფორმისა და ეროვნებისა. დაესწრო კრებას აგრეთვე სახალხო გმირი ვალიკო ჯუღელი, რომელიც დიდის აღტაცებით იყო მიღებული და არჩეული იქნა ავლაბრის მუშათა კლუბის საპატიო წევრათ. კრების თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ა. თუმანიანცი და მდივნათ ი. ხუციევი. საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარე ამხ. ა. მარქარიანცმა კრებას წაუკითხა კლუბის წესდება, რომელიც უკამათოთ იქნა მიღებული და დამტკიცებული. წესდების დამტკიცების შემდეგ კრებამ მოისმინა ადგილობრივი პოლიტიკ. ორგანიზაციების მხრით მილოცვები. მესამე კოლექტივის მხრით მილოცვის სიტყვა წარმოსთქვა მისმა თავმჯდომარე ამხ. გ. ლორიამ. მენშევიკ ინტერნაციონალისტების მხრით—ა. მარქარიანცმა, ადგილობრივი სოც.-რევოლიუციონერების კომიტეტისგნით. ბ. არუთინიანცმა და დაშნაკცუთიუნის მხრით ზ. ჩიტჯიანცმა. ყველა ორატორებმა აღნიშნეს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს მუშათა კლუბს მშრომელ ხალხის განვითარების საქმეში. ყველამ ერთხმათ იმედი გამოსთქვეს, რომ ავლაბრის მუშათა კლუბი თავის კარებს გაუღებს ყოველ ერის მშრომელ ხალხს და იმ დროს, როცა ნაციონალისტური და შოვინისტური ბურჟუაზია თანდათან ძლიერდება, ავლაბრის მუშათა კლუბი გარდაიქცევა ინტერნაციონალისტურ ცენტრათ.

სიტყვა აიღო აგრეთვე ამხ. ვ. ჯუღელმა, რომელმაც თავის სიტყვაში მიულოცა ავლაბრის დემოკრატიას დიად ისტორიული დღე და უსურვა, რომ ავლაბრის მუშათა კლუბს პირველი ადგილი მიეცა ერების სოლიდარობის იდეისთვის. ბოლოს ორატორი დაჰპირდა რითაც კი შესაძლებელია შემწეობა გაუწიოს კლუბის ხელმძღვანელებს მუშათა კლუბის იდეის მასაში გავრცელების და გამაგრების საქმეში. ბოლოს, მოხდა არჩევნები. საბჭოს წევრებათ არჩეულნი იქნენ ა. ვაშაკიძე, გ. ვაშაკიძე, ნ. ბედენაშვილი, ა. ლიტინოვი, ა. თუმანიანცი, გ. ფირუმიანცი, კ. არუჯანოვი, ა. მანუკოვი, ა. ნერსესოვი, დ. ელისაშვილი, ა. მეგრაბიანცი ს. ბეჟაშვილი, მ. არეშიძე, ა. ძიმიშვილი, თ. ხაჩიკოვი, გ. ნიშნიანიძე, გ. აგარონიანცი, ე. ბადალიანცი, ზ. ჩიტჯიანი, ა აგარონოვი, ს. თანდილოვი, ა. აბოვიანცი, მ. თუმანიანცი, ა. მელიქყაზარიანი, ვ. თოროზიანი, გ. გიგილიანი. ბ, არუთინიანცი, პ. სტიმპოლციანი, ს. მირზოიანცი და ა, არუშანოვი. საბჭოს თავმჯდომარეთ—ზ. არუთინიანცი. საერთო კრების შემდეგ მოხდა საბჭოს კრება და არჩეულ იქნა მუშათა კლუბის გამგეობა 9 კაცისაგან შემდგარი. ა. თუმანიანცი (თავმჯდომარე), გიგილიანცი და ა მეგრაბიანცი (თავმჯ. ამხანაგებათ). გ. ვაშაკიძე (მოლარე), ზ. ჩიტჯიანი (მდივანი) და წევრებათ ა. ვაშაკიძე, ვ. თოროზიანი, ს. ბეჟაშვილი, გ. აგარონიანცი და ბადალიანცი.

ა. თ.

ქ. ახალ-სენაკი. მგონია არსად არ უნდა იყვენ ისეთ უკიდურეს პირობებში, მოსამსახურენი, როგორშიაც იმყოფებიან ისინ შავი ზღვის რკინის გზაზე.

აქაურ მოსამსახურეებს არ ჰყავთ არც ექიმი არც ფერშალი. ჯამაგირს ცოტას იღებენ. ადვილი წარმოსადგენია ის გაჭირვება, რომელიც მათ აძგით.

მოსამსახურეთა მდგომარეობა არ აინტერესებს აქაურ ადმინისტრაციას და გაიძახის: „თუ გნებავთ იმსახურეთ, თუ არა და წადით სადაც გინდათო" მოსამსახურენიც ითმენენ და განაგრძობენ მუშაობას.

საქართველოს რკინის გზებზე იყო განხორციელებული საყოველთაო მომატება. ეს მომატება არ შეეხო აქაურ მოსამსახურეებს. საჭიროა გზათა სამინისტრომ მიაქციოს ყურადღება ყველა ამას და მიიღოს ზომები, რომ ის ადმინისტრატორები, რომლებიც არ არიან თავიანთ ადგილებზე, განიდევნონ.

ვ. ბე—აია

## ს.-დემ. პარტიაში

სუფსა (გურია). შესდგა სუფსის კოლექტივის კრება. დღიურ წესრიგში შემდეგი კითხვები იყო: 1) მოხსენება გურიის ცენტრიდან, 2) სახალხო გვარდია, 3) მიწის ღალა, 4) განცხადებები. მოხსენება გააკეთა კირილე სვანიძემ. მომხსენებელი შეეხო შემდეგ კითხვებს: 1) გურიის პარტიის წევრების რეორგანიზაცია, 2) ჯარი და სახალხო გვარდია, 3) ჩვენი ორგანიზაციის სახელწოდება, 4) სახელმწიფო ენა, 5) საგამომძიებლო კომისიის მოხსენება გურიის კომიტეტში, 6) დაცლილ კოლონიებში მსურველების გადასახლება, 7) პროპაგანდისტები, 8) დამფუძნებელი კრება, 9) სამოქალაქო პანაშვიდი, 10) საკანტროლო კომისია, 11) განცხადებები. მოისმინა რა კრებამ მოხსენება, მსჯელობა იქონია შემდეგ კითხვებზე: ერობა, საგამომძიებლო კომისიის მოხსენება დაცლილ კოლონიებში მსურველების დასახლების შესახებ, პროპაგანდისტები და სამოქალაქო პანაშვიდი. პირველ კითხვაზე კრებამ გამოსთქვა სიმწუხარე, რომ დღემდის ერობა მოუწყობელია. დაადგინა, რომ დაჩქარებით შესდგეს რაიონებში წვრილი საერობო ერთეულები. კოლონიებში სასურველად სცნო კრებამ ჩასახლდნენ სანდო ელემენტები. გადასწყდა საზოგადო კრებაზედ იქნას წარდგენილი მსურველების სია.—პროპაგანდისტების შესახებ საკითხი გადაეცა 6 კაცისაგან შემდგარ კომისიას, რომელმაც მომავალ კრებაზე უნდა წარუდგინოს მოხსენება ამის შესახებ. გადაწყდა ვაშნაარში იქნეს შეძენილი მიწა და და აიგოს საძმო სასაფლაო. ღალის შესახებ იქნა მიღებული, რომ ერთი მეათედი ღალა უნდა იქნეს მოგროვებული მთავრობის განკარგულებაში ჯარისთვის. მასწავლებლების მოწვევის შესახებ კრებამ მიანდო პრეზიდიუმს მორიგ კრებაზე წარმოადგინოს დასაბუთებული მასალები.

გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" 29 ოქტომბრის ნომერში სუფსიდან „სუფსიელი მეორის" ფსევდონიმით მოთავსებულ წერილს გაეცეს პასუხი, რადგან სიმართლეს არ შეეფერება.—ხიდმაღალას „იაჩეიკიდან" მიღებულ იქნა პარტიაში ხუთი წევრი.

ძველი მებრძოლი.

## პროვინცია

ყარაიაზი. ამ რაიონში მცხოვრებლები თათრებია. რუსებიც ყოფილა, მაგრამ ანარქიის დროს გაქცეულან. ახლა ერთიც აღარ არის. მათი სახლები ყველა დანგრეულებია თათრებისაგან. ამ დანგრეულ სახლებში მოუთავსებიათ ქართველი ლტოლვილები. მათი მდგომარეობა ძლიერ გაჭირვებულია. არა აქვთ არც ტანზე, არც საჭმელი, არც საგები და არავითარი საშუალება. ასეთ სახლებში ცხოვრობენ, რომ ძაღლიც ვერ გასძლებს ერთ საათს.

საჭიროა მთავრობა დაეხმაროს. ყოველ დღე იხოცებიან ახალი ჭირითაც. საექიმო მოწყობილობაც ძლიერ ნაკლებათაა.

ყარაიაზის კომისარი ტონია.

——

ს. ცხრა წყარო (შორაპნის მაზრა). რევოლიუციის პირველ დღეებში ადამიანს ეგონებოდა, რომ სხვა სოფლებთან ერთად ამ სოფელმაც დააღწია თავი ბურუსს და სიბნელეს და დაადგა განვითარება აღორძინების გზას. გაიხსნა სამკითხველო, დაარსდა კოოპერატივი და სხ. მაგრამ, საუბედუროთ, ყველა ესენი ხანმოკლე და ერთდროული გამოდგნენ და დღეს მხოლოდ სულს-ღა ღაფავენ. სამკითხველოს დაარსებას თუ [illegible] ებით შეხვდა ხალხი პირველ დღეს, იგი შემდეგ სულ მიივიწყეს, საწევრო ფულს აღარ იხდიან და საკითხავადაც, გარდა 2—5-სა, აღარავინ დაიარება. აგვისტოში სამკითხველოს გამგეობამ მოაწყო საღამო სამკითხ. სასარგებლოთ, საიდანაც დაახლოვებით 2000 მან დარჩა წმინდა შემოსავალი. გვგონია თუ ეს მაინც გააუმჯობესებდა სამკითხველოს მდგომარეობას და გამგეობა შეიძენდა საჭირო წიგნებს, რაც სამკითხველოში თითქმის არ მოიპოვება, მაგრამ იმედები არ გამართლდა. სამკითხველოს მოსდის „ერთობა", „სახალხო საქმე" და „საქართველოს რესპუბლიკა". დაარსებიდან აგერ წელიწადნახევარია და ჯერ კიდევ არ შემდგარა წლიური კრება და არც რაიმე ანგარიში იცის საზოგადოებამ, რაც დიდ ცოდვათ უნდა ჩაეთვალოს გამგეობას. კოოპერატივს კიდევ უფრო ზედმეტი უბედურობა ეწვია. თუ სამკითხველოს კარები ღია მაინც არის და ხანდახან გაზეთებსაც იშოვის კაცი, სამაგიეროთ კოოპერატივი აგერ ექვსი თვეა დაკეტილია და არ ვიცით, როდის ელირსება გაღება. როგორც ამბობენ, საქონელი აღარ ყოფილა კოოპერატივში და არც ნოქარის შოვნა ყოფილა ადვილი საქმე და, რომ გაიღონ კიდეც კოოპერატივი, რა სარგებლობას მოუტანს ხალხს. ამ სოფელს ერთი საშუალო სკოლაც მოეპოვება, მაგრამ ჯერც მისი საქმე არის რიგიანად დაყენებული. საჭიროა აქაურმა მოწინავე ამხანაგებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ სოფელს და სასურველ ნიადაგზე დააყენონ საკულტურო საქმე.

Amiko.

——

ს. ნიგოითი (გურია). ბატონ შ. ლვა ფ. აროშიძის შესახებ „ერთობის" № 228 ქრონიკაში იყო დაბეჭდილი, ფოთის სასურსათო მაღაზიის გამგე აროშიძე გაჩხრიკა ოზურგეთის მაზრის კომისარმა, და ბევრი სახელმწიფო საქონელი აღმოაჩნდა ნაქურდალი. ამაზედ ის თავს მართლულობს ამავე გაზეთში და ამბობს: „მართალია სამხედრო სამინისტროს საბაბი მისცა ვიღაც ჩემმა პირადმა მტრებმა, რომ ჩემზე ეჭვი მოეტანათ და მოეხდინათ კანონიერი გაჩხრეკა, მაგრამ თითქოს მე სახელმწიფო საქონელი ნაქურდალი აღმომჩენოდეს სიმართლეს მოკლებულია", ვნახოთ აქტში, რომელიც შეუდგინეს საქონლის ჩამორთმევის დროს. სია ნაქურდალ საქონლისა შემდეგია: ერთი დიდი ბრეზენტი ფრონტზე ლაზარეთის სახურავი სადაც ასი დაჭრილი ადვილათ მოთავსდება. ოთხი ცინკის ბანკა, საჭმელი ზეთი, თხუთმეტი ფუთი შაქარი, სამ ფუთამდე საპონი, სამ ფუთზე მეტი კრუპა და პურის კაკალი, სამი სახაფხულო შალვარი, და სამი „ვინტოვკა". აგრეთვე მის გაჩხრეკის დროს დამსწრე მოწმეების გადმოცემით ასი ათას მანეთამდე მეტის საქონელი უნახავთ, რაც სახელმწიფო კუთვნილებათ ვერ უცვნიათ. ალბათ სპეკულიაციის მიზნით ჰქონდა ეს საქონელი შეძენილი. მე არა მგონია, რომ ამოდენა ქონება ვინმემ კეთილი გზით შეიძინოს, თუ არა ძარცვით. და როგორც მისი წერილიდან სჩანს ასეთი კაცი დღესაც დაუჭერელია!.. ჩამორთმეული საქონელი ინახება ნიგოითის საკომისარიატოში.

მეთვალყურე

——

ქალ. ჭიათურა. შავი ქვის მრეწველ. საბჭოს კანცელარიის ნაწილი—ბუჰგალტერია ქუთაისიდან გადმოვიდა და შეუდგა მუშაობას. ადგილობრივ საქმეების მთავარ გამგეთ დაინიშნა ბ-ნ ალ. დარახველიძე (კრინიცკი)

მრეწ. საბჭოს მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ გადასწყვიტა შეიძინონ საერთო კასიდან ქართული ლატარიის 150 კუპონი.

ადგილობრივ ქალთა წრის საზოგადოება ხსნის სარძევეს, თავის მატერიალურ თანხის გასაძლიერებლად.

მომხ. საზ. „ჩვენი ოჯახი" ამ მოკლე ხანში მიიღის ერთ ვაგონ შაქარს.

აქ უკვე აცივდა, შეშის კრიზისია. ურემი ას მანეთამდე ფასობს.

მრეწველთა საბჭოს საავადმყოფოს მხოლოდ ამბულატორიის ნაწილი მუშაობს.

ქალაქის ახალი აფთიაქი მუშაობს, გამგეთ მოწვეულია პროვიზორი ქლენტი.

უმაღ. პირ. დაწყ. საბჭოს სასწავლებლებში რამდენიმე მასწავლებლებმა დასტოვეს ადგილი.

X.

——

ფოთი. თანახმად ფოთის რაიონულ გამგეობის დადგენილებისა, სამეგრელოს ფ.-ტ. დაწესებულებაში იქნა გაგზავნილი თავმჯდომარე გამგეობისა ფარცხალაძე მოხსენების გასაკეთებლად, წარსულ ფ.-ტ. კონფერენციის მუშაობის შესახებ. აგრეთვე ყოფილ კომიტეტების სალიკვიდაციო, რომელმაც დაბრუნებისთანავე გამგეობას მოახსენა, რომ თითქმის ყველა დაწესებულებაში მოსამსახურეებს ჯამაგირები რამდენიმე თვეა არ მიუღიათ, რის გამო უკანასკნელები იმყოფებიან უკიდურეს მდგომარეობაში. განიცდიან შიმშილს, სიცივეს, ავათმყოფობას უქმლობის გამო, მაგრამ მიუხედავად ამისა ყველა დაწესებულებებში, ზუგდიდის კანტორაშიაც, სადაც ხშირად უთანხმოება სუფევდა უფროსს და მოსამსახურეებს შუა სრული ერთსულოვნებაა და ხელ ჩაკიდებული, როგორც უფროსები, ისე მოსამსახურეები განაგრძობენ მუშაობას და იმედს არ კარგავენ, რომ მათი მოტანილი და მასთან ნაყოფიერი შრომა სულ ცოტა ხანში დაფასდება და იქნებიან დაკმაყოფილებულნი.

მოისმინა რა ეს მოხსენება გამგეობამ, უცხადებს გულწრფელ მადლობას ყველა ფ.-ტ. მოსამსახურეებს სამეგრელოს დაწესებულებისა და სთხოვს ასე ენერგიულად და ერთ სულოვნათ განაგრძონ მუშაობა ნორჩ საქართველოს რესპუბლიკის საკეთილდღეოთ, მასთან იმედოვნებს, რომ მთავრობაც მიაქცევს თავის ჯეროვან ყურადღებას მუდამ დაჩაგრულ ფ.-ტ. მოსამსახურეებს და დაადასტურებს იმ „ოკლადებს", რომელიც იყო კონფერენციის მიერ გამომუშავებული, რათა მოსამსახურეებს და ბოლოს მაინც იმედები სინამდვილეთ გადაექცეს და რაოდენობით შემსუბუქდეს მათი ცხოვრება.

რაიონ. გამ. თავმჯდ. ფარცხალაძე

——

ქ. გორი. გორში აცივდა. შეშა მეტის მეტად გაძვირდა, თუ უწინ ღირდა ურემი 60—70 მან. დღეს 150—200 მდე ადის. რადგან სოფლიდან ჩამოტანილი ურემზე 60 მ.-მდე ბაჟს ახდევინებენ. უმრავლეს ქალაქებიდან იყო ზომები მიღებული სათბობ მასალის თავის დროს დამზადების და მიწოდების შესახებ, მხოლოდ ქ. გორი კი არაფერს ზრუნავდა ამის შესახებ. საზოგადოთ გორის მაზრაში პურის ძალიან სიძვირეა. საჭიროა ყურადღების მიქცევა. ავადმყოფობა ძალიან გახშირდა, ხშირია მსხვერპლი. 16 ს აქ წარმოდგენა გამართეს სცენის მოყვარეებმა ს. დ. პ. სასარგებლოთ. ხალხი ბლომად დაესწრო. უადგილობის გამო ბევრი ვერ დაესწრო. კარგი იქნებოდა რომ შესდგებოდეს მუდმივი სცენის მოყვარეთა გუნდი და წარმოდგენას სისტემატიურათ აწარმოებდეს, რადგან ხალხი თავს დააღწევს ლოთობა-თამაშობას და გონებრივ საზრდოსაც მიიღებს. ჟურნალ-გაზეთების კიოსკა საკმაო გაზეთებს ვერ ღებულობს, რითაც დიდი უკმაყოფილებაა მკითხველებისაგან, როცა მკითხველებმა მოსთხოვეს კიოსკის გამგეს, ამის მიზეზი მან უჩვენა დოკუმენტი, საიდანაც სჩანს, რომ დეპეშით მოუთხოვია გაზეთების მომატება კანტორა „განათლებისათვის" მაგრამ მას შემდეგ გასულა შვიდი დღე და გაზეთები ისევ იმ ზომით მოდის, როგორც მოდიოდა. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციონ. ჟურნალ გაზეთების გავრცელების საქმე ვერ მიდის კარგათ მაზრაში, რადგან პასუხის მგებელი პირი ფულს არ აწვდის ქ. გორის კიოსკას, რის გამო, გარდამეჯვრისხევის რაიონისა, შეწყვეტილ იქნა ჟურნალ-გაზეთების გზავნა. საჭიროა მეტი ყურადღების მიქცევა ჟურნალ-გაზეთების ვრცელებაში ამხანაგების და მოწინავეების მიერ, რომ ამით საშუალება მიეცეს სოფლელ მცხოვრებლებს გაეცნონ მთავრობის მოქმედებას და საერთაშორისო მდგომარეობასაც. რომ უკეთ გავრცელდეს ჟურნალ გაზეთები, ამიტომ საჭიროა რაიმე შეღავათის მიცემა ქ. გორის კიოსკისათვის, მაგალითად ის, რომ ყოველ ხუთმეტ დღეს შემდეგ გაასწოროს ანგარიშები ან თვის ბოლოს, რომ შეეძლოს შეაჩვიოს ხალხი გაზეთების კითხვას. პირველათ როცა კიოსკა გაიხსნა იყიდებოდა გაზ. „ერთობა" მთელ ქალაქში 30—40 ცალამდე. შემდეგ კი გადიდდა 1000 მდე.

ძველი დარაჯი.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ საშუალება მომცეთ განვაცხადო თქვენი გაზეთის ფურცლებზე, რომ 2-სა თუ სამი ნოემბრის „ერთობაში" დაბეჭდილი წერილი ტყეების გაჩეხის შესახებ (სოფ. სუფსიდან) „ძველი მებრძოლის" ხელმოწერილი მე არ მეკუთვნის. ასევე არ მეკუთვნის ქუთათურ „სოციალ-დემოკრატის" 23 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი წერილი ამავე ფსევდონიმით. კარგს იზავს სუფსიდან წერილების მგზავნელი თუ სხვა ფსევდონიმს გამოინახავს თავისთვის, რადგანაც ეს ფსევდონიმი დიდი ხანია მე მეკუთვნის.

ვარდენ ჩხაიძე.

——

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ შემდეგი: „მეთვალყურე" რომ გაზეთში სწერს ლადო კიკნაძეზე, რომელიც განაგებდა იაფ-ფასიან სასადილოს ქალაქის თვითმართველობისა დიდუბეში და ვითომც მე სამოქალაქო კომიტეტის კრებაზე გამეკეთებინოს მოხსენება მის, ესე იგი ლადო კიკნაძის რაიმე ბოროტმოქმედებაზე, ეს სიმართლეს მოკლებულია. მე დარწმუნებული ვარ, რომ იმ „მეთვალყურეს", რომელმაც გაზ. „ერთობის" № 238-ში მოათავსა ასეთი წერილი, ალბათ რაიმე შეცდომით მოუვიდა და ამით ჩირქი ეცხობა ლადო კიკნაძეს. მე კი ასეთი არაფერი მითქვამს და სიტყვა „ბოროტ მოქმედება" არც მიხმარია.

დ. კერვალიშვილი.


# განცხადებანი

21 ნოემბერს თფილისში **დაჰკარგე**
უვადო პასპორტი, მოცემული ოზურგეთის მაზრის უფროსისაგან № 393, რომელზედაც არის ჩემი სურათი შემოწმებული 237, მასთან მოწმობა ქუთაისის სამხედრო უფროსისაგან მოცემული № 113, მე როგორც თავისუფალი სამხედრო სამსახურისაგან და გასული ვარ სათადარიგო ჯარში. მპოვნელს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: მე 10 კომისარიატი, ბაქოს ქუჩა, სახლი № 18, რისთვისაც მიიღებს შესაფერს საჩუქარს. პავლე არჩილის ძე წილოსანი.

ექიმი ქალი
ე. ს. ქარუძეს—მეხურიშვილი.
იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე დილის 12—2 ს. საღამოს 4—6 საათ. აძლევა საბებიო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

გახსნილია
კერძო სამკურნალო
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით) ტელეფ. 5—97.
ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

მიხეილის კერძო სამკურნალო
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ და შინაგ, 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობელისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

ექიმი
ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო)

ექიმი ზ. მ. მუხაძე
იღებს საღოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფთიაქის ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფთ და აძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნეულებისა, საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

კბილის საექიმო კაბინეთები
თედორე ხაჟვარელის ძე ცხომელიძისა
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (91—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

ექიმი
იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

ექიმი
დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი [illegible]
ყოფილი ასისტენტი [illegible] კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

მედიცინის დოქტორი
ა. გ. მაჭავარიანი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქ. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ვგლის ტელ. № 49.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე
მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

# ქართულ კლუბის თეატრი
დღეს, 29 ნოემბერს, ქართველ მსახიობთა მიერ ბ. ვასო აბაშიძის, ქქ. ელ. ჩერქეზიშვილის და ნ. ჯავახიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:
## არშინ მალ-ალან
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. გამგე გ. იორდანიშვილი.

# დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი".
შაბათს, 30 ნოემბერს, 1918 წელს,
ალ. მაისურაძის ქართული გუნდი მომღერალ ლუარსაბ ჯანდიერის მონაწილეობით გამართავს
## კონცერტს სამ ბანყოფ.
ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი გუნდი შეასრულებს სხვადასხვა ქართულ სიმღერებს. დაწვრილებით პროგრამებში. ბილეთები იყიდება ყოველდღე კლუბის შესავალთან საღ. 5—8 ს.
დასაწყისი საღ. სრულ 7 საათზე. ადმინისტ. არჩ. კორინთელი.

# სახელმწიფო თეატრი
ოპერა.
პარასკევს, 29 ნოემბერს
სპიტკოს, ვ. შემირსკის, მარკოვას, ინაევის და ისეცკას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
## კარმენი
ფასები დაწეულია. დასაწყისი საღამოს 7½ საათ.
ანონსი: შაბათს, 30 ნოემბერს—„რიგოლეტო", კვირას, 1 დეკემბერს, დილით—„პაიაცი" და „ქორწინება უკრაინაში", საღამოთი—„დუბროვსკი".

კვირას, 1 დეკემბერს, დღის 12 საათზე, მეორეთ შესდგება ექიმის თანაშემწეთა
## კავშირის კრება
განსახილველია: 1) საზოგადოების გაეროვნება, 2) მომავალი დელეგატთა ყრილობა, 3) ჟურნალი „ექიმის თანაშემწე", 4) მიმდინარე საკითხები და სხ.
ამ კრებას რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კრება კანონიერად ჩაითვლება.
მისამართი: პუშკინის ქ. № 10, ქალაქის ცენტრალური საავადმყოფო.

# შაქარი
თფილისის ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება ამით აცხადებს თფილისის მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ ამა წლის 1 დეკემბრიდან მოქალაქეთ დაურიგდებათ ერთდროულად ორი თვის (ნოემბრის და დეკემბრის) შაქარი. შაქრის ნორმა და ფასი იგივე იქნება რაც გასულ ოქტომბრის თვეში იყო. რაიონულ კომიტეტებს და კოოპერატივებს კი შეუძლიათ მიიღონ შაქრის მისაღები ორდერები ხუთშაბათიდან, 28 ნოემბრიდან, საჭირო თანხის წარდგენის შემდეგ. (3—1)

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი ამით აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ კვირას 1 დეკემბერს დღის 12 საათ. (ანტონოვის ქუჩა № 5)
## საჯარო ვაჭრობით
გაიყიდება „დვუხკოლკები" თვლები და სხვა.

30 ნოემბერს დილის 11 საათზე მთავარ ტამოჟნის შენობაში (სადგურის ახლო)
## საჯარო ვაჭრობით
გაიყიდება ძველი ნივთები: თაქთლო (ცხენის საოფლე), კასრები, მოუქნელი ტყავი, სხვადასხვა „ლენჩიკები". ჯარისკაცის ჩანთები, „ვალენკები", ხალათები, შარვლები, ნაბადი, ბაწრები, სამოვრები, „ვედრები", ავტომობილის „პოკრიშკები" და „კამერები", გრეხილები, და სხვადასხვა ჭურჭელი და სხვა საგნები.

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს 4 დეკემბერს დღის 12 საათ. ქალაქის გამგეობის თანადასწრებით მოხდება
## საჯარო ვაჭრობა
იჯარით გაიცემა მდინარე მტკვრით დიდუბეში გადასასვლელი ნავების გაკეთების და მოწყობის საქმე. კონდიციების და ყოველივე ცნობების მიღება შეიძლება სამეცადინო საათების დროს საიჯარო-სამიწათ მოქმედო განყოფილების კანცელარიაში. (2—1)

ნიკოლოზ სიმონის ძე მეტეხელი ამ რამდენიმე თვის უკან წავიდა ქ. ფოთში და მას შემდეგ მისგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია, ვსთხოვთ ყველას, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, შეგვატყობინოს შემდეგი მისამართით: კაჩუბეევის შესახვევი, № 11. თამარა მეტეხელს. (3—2)

იბეჭდება და მალე გამოვა ამხანაგობა „გლობუსის" გამოცემა
## 1919 წ. დემოკრატიული კალენდარი 1919 წ.
კალენდარში, ჩვეულებრივი საკალენდარო ნაწილის გარდა, მოთავსებული იქნება შემდეგი განყოფილებები შედგენილი შემდეგი ავტორების მიერ: პოლიტიკური და იურიდიული დავ. ონიაშვილი და ლევ. ახათიანი, საექიმო ივ. გომართელი, სამეურნეო ტიმოფეევი და ვაცაძე, სალიტერატურო ეშმაკი. მოთავსებული იქნება აგრეთვე საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეების სურათები.
კალენდარი დაახლოვებით ეღირება 8 მან. აგენტებმა და წიგნის მაღაზიებმა ეხლავე უნდა დაიკვეთონ—ვის რამდენი უნდა—რადგანაც ბევრი არ დაიბეჭდება. საწყობი—კანტორა „განათლება"-ში, ოლღას ქ. № 6, ტელეფ. 3—44. (3—2)